საფარი SAPARI

შვედეთი Sverige | UN WOMEN

UN JOINT PROGRAMME FOR GENDER EQUALITY

კვლევა

სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა გამოცდილება მართლმსაჯულების სისტემაში

ჩაღრმავებული ინტერვიუების ანალიზი და ლიტერატურის მიმოხილვა

2026

ქართული

წინამდებარე პუბლიკაცია მომზადდა გაეროს ერთობლივი პროგრამის "გენდერული თანასწორობისათვის" ფარგლებში პარტნიორის — საფარის მიერ. მასალა მომზადდა შვედეთის ფინანსური მხარდაჭერით. მისი შინაარსი წარმოადგენს საფარის პასუხისმგებლობას და შესაძლოა, არ ასახავდეს შვედეთისა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის ხედვას.

ENGLISH

This publication was produced within the UN Joint Programme "For Gender Equality" by responsible party — Sapari with the financial support of Sweden. Its contents are the sole responsibility of Sapari and do not necessarily reflect the views of the Sweden and UN Women.

საფარი SAPARI

შვედეთი Sverige | UN WOMEN

UN JOINT PROGRAMME FOR GENDER EQUALITY

შინაარსი

01 შესავალი 4

02 მეთოდოლოგია 6

03 ლიტერატურის მიმოხილვის ძირითადი მიგნებები 10

სექსუალური ძალადობის შესახებ შეტყობინების გამოცდილება 14

პოლიციასთან ურთიერთობა, გამოძიებისა და მტკიცებულებების შეგროვების ეტაპი 16

სასამართლო პროცესის გამოცდილება 19

სამედიცინო და სასამართლო ექსპერტიზის გამოცდილება 21

სასამართლოს შემდგომი გამოცდილება 21

04 სექსუალური ძალადობის მსხვერპლებთან და პრაქტიკოს ექსპერტებთან ინტერვიუების ანალიზი 24

პოლიციისადმი მიმართვის გადაწყვეტილებაზე მოქმედი ფაქტორები 24

გამოძიება 28

გამოკითხვა 28

მსხვერპლის ინფორმირება საგამოძიებო მოქმედებების შესახებ 33

ექსპერტიზა 35

პროკურატურა 37

დაზარალებულად ცნობა 40

კოორდინატორი 41

სასამართლო 42

დაცვის მხარის ადვოკატები 44

მართლმსაჯულების სისტემის გავლენა დაზარალებულის ცხოვრებაზე 46

05 დასკვნა 48

06 რეკომენდაციები 50

07 გამოყენებული ლიტერატურა 52

08 დანართი 54

01

შესავალი

სექსუალური ძალადობა ერთ-ერთი ყველაზე ფარული დანაშაულია ქალთა მიმართ ჩადენილ გენდერულ ძალადობას შორის. ქალები უფრო იშვიათად მიმართავენ მართლმსაჯულების სისტემას, როცა სექსუალური ძალადობის მსხვერპლნი ხდებიან, ერთი მხრივ იმიტომ, რომ უჭირთ ამ თემაზე საუბარი, მეორე მხრივ კი იმიტომ, რომ ეს დანაშაული განსაკუთრებულ მგრძნობელობას მოითხოვს მართლმსაჯულების სისტემისაგან. სექსუალური დანაშაულების სასამართლო განხილვაც, როგორც წესი, დახურულია. ასევე, მსხვერპლებს უჭირთ ამ თემაზე საუბარი, მკვლევარებისთვისაც ძნელად ხელმისაწვდომია მონაცემები, რასაც შეიძლება, ეყრდნობოდეს კვლევა.

ზემოთხსენებული მიზეზების გამო, სექსუალური დანაშაულის მსხვერპლების გამოცდილება ნაკლებად ნაკვლევია, განსაკუთრებით კი – საქართველოში. თუმცა, მართლმსაჯულების სისტემაში არსებული ხარვეზების შესახებ მსხვერპლთა გამოცდილება არის უმნიშვნელოვანესი. ასევე, გასათვალისწინებელია, თუ რა მეთოდების გამოყენება არის მიზანშეწონილი მსგავსი საკითხების კვლევისას. წინამდებარე კვლევაში მიმოხილულია როგორც მსოფლიო გამოცდილება ამ საკითხთან დაკავშირებით, ასევე, სექსუალური დანაშაულების კვლევის მეთოდოლოგია, ხოლო შემდეგ ეტაპზე, ამ მიგნებებზე დაყრდნობით, ნაკვლევია საქართველოში ჩაღრმავებული ინტერვიუები.

ამ თემაზე არსებული სპეციალიზებული ლიტერატურის ანალიზმა ცხადყო, რომ სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა მართლმსაჯულების სისტემით კმაყოფილების კვლევების რაოდენობა საერთაშორისო დონეზე შეზღუდულია, განსაკუთრებით – ნაკლებად დემოკრატიული ქვეყნებში. გამონაკლისს წარმოადგენს განვითარებული სახელმწიფოები, მათ შორის ევროპული სახელმწიფოები, ამერიკის შეერთებული შტატები და ავსტრალია, სადაც არსებითად მეტად გვხვდება კვლევები, რომელიც მსხვერპლთა მართლმსაჯულების სისტემით კმაყოფილებასა და სისტემაში მათი გამოცდილებების შეფასებას ეხება. ნიშანდობლივია, რომ დასავლურ სახელმწიფოებში კვლევების დამკვეთი, უმეტეს შემთხვევაში, თავად სახელმწიფო უწყებები არიან, რომლებიც კვლევების მიგნებებით ცდილობენ საკუთარი პოლიტიკის ეფექტიანობის გაანალიზებას და გაუმჯობესებას. აღსანიშნავია, რომ საქართველოში ამ ტიპის კვლევა ამ დრომდე არ ჩატარებულა, რაც დამატებით ხაზს უსვამს თემის აქტუალობასა და საჭიროებას ჩვენს ქვეყანაში.

ამ კვლევის მიზანია იმ გამოცდილებების კვლევა, რომელიც იწყება მსხვერპლის მიერ ძალადობის შესახებ შეტყობინებით და გრძელდება მოძალადისთვის სასჯელის გამოტანის მომენტამდე. კვლევის ინტერესის სფეროს წარმოადგენს მსხვერპლთა სუბიექტური გამოცდილებები მართლმსაჯულების სისტემაში, ასევე, იმის დადგენა, თუ რამდენად მორგებული იყო პროცესში ჩართული სხვადასხვა უწყების რეაგირება მსხვერპლთა საჭიროებებზე. კვლევებში ვხვდებით მსხვერპლთა ინდივიდუალურ ისტორიებს, განცდილი ტრავმების კიდევ უფრო მკვეთრად წარმოსაჩენად.

მიმოხილული ლიტერატურის გენერალიზებული ანალიზი დიდწილად დაემთხვა ჩვენი კვლევის მიგნებებს: სექსუალური ძალადობის მსხვერპლები ხშირად აწყდებიან მნიშვნელოვნად დამაზიანებელ გამოცდილებას მართლმსაჯულების სისტემასთან ურთიერთობისას. ეს გამოწვევები მოიცავს მეორად ტრავმატიზაციას და ნეგატიურ ურთიერთქმედებებს. ნეგატიური გამოცდილება შეიძლება, მოიცავდეს მსხვერპლის დადანაშაულებას, ფაქტების ურწმუნოებას და მისი ტრავმის მიუღებლობას/უარყოფას, რაც იწვევს შემდგომ სტრესსა და სამართლიანობის აღდგენის სურვილის არქონას. მსხვერპლთა ნაწილის აღქმაში, ინფორმაციის გაზიარების პროცესი და სასამართლო სისტემაში ნავიგაცია ხშირად აღიქმება ისეთივე ან უფრო დამაზიანებლად, ვიდრე თავდაპირველი ძალადობა.

02

მეთოდოლოგია

კვლევის მეთოდი - კვლევის მიზნების მისაღწევად გამოყენებულ იქნა თვისებრივი კვლევის მეთოდები. კვლევის პირველი ნაწილი შედგება ლიტერატურის მიმოხილვისაგან. ლიტერატურის მიმოხილვით დასტურდება, რომ სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა გამოცდილებების კვლევა ერთ-ერთი ყველაზე სენსიტიური საკითხია და უმეტეს შემთხვევაში მოიცავს თვისებრივი კვლევის მეთოდს, კერძოდ, ინდივიდუალურ ჩაღრმავებულ ინტერვიუებს ძალადობის მსხვერპლებთან. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, კვლევა დავაფუძნეთ ჩაღრმავებული ინტერვიუების ანალიზზე, რომელიც ჩატარდა როგორც დაზარალებულებთან, ისე – პრაქტიკოს ექსპერტებთან, კერძოდ, იურისტებთან და ფსიქოლოგებთან.

ლიტერატურის მიმოხილვისთვის გამოყენებულ იქნა თვისებრივი (სამაგიდო) კვლევის მეთოდი. კვლევების მოძიება განხორციელდა ღია, ინტერნეტ რესურსების საფუძველზე და გაანალიზდა როგორც საერთაშორისო, ისე – ქართული გამოცდილება. კვლევის შერჩევის კრიტერიუმი იყო ნაშრომის აკადემიური ხარისხი, დამკვეთი ინსტიტუტის სანდოობა, კვლევის მიზანი და მიგნებები, ლიტერატურის მიმოხილვისთვის შერჩეულ თემასთან რელევანტურობა. წინამდებარე დოკუმენტში მიმოხილულია საერთაშორისო კვლევები და აკადემიური ლიტერატურა, რომელიც სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა გამოცდილებებს შეისწავლის, მართლმსაჯულების სისტემასთან ურთიერთობის სხვადასხვა ეტაპზე. ლიტერატურის მიმოხილვისას, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო იმ მეთოდოლოგიების მიმოხილვას, რომელიც საფუძვლად უდევს სექსუალური ძალდობის გამოცდილებების კვლევას მართლმსაჯულების სისტემაში. სწორედ ამ მიგნებებზე დაყრდნობით განისაზღვრა ნაშრომის მეორე ნაწილის მეთოდოლოგია.

კვლევის მეორე ნაწილი აგებულია სექსუალური ძალადობის მსხვერპლებთან და ექსპერტებთან ინტერვიუებზე დაყრდნობით. შემუშავდა **ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუს ფორმა,** რომელიც ჩატარდა 19 რესპონდენტთან. ამათგან, 11 რესპონდენტი იყო ის, ვინც განიცადა სექსუალური ძალადობა, ხოლო 8 რესპონდენტი პრაქტიკოსი ექსპერტი იყო, რომლებიც მუშაობენ სექსუალური ძალადობის მსხვერპლებთან.

თითოეული ინტერვიუ იწერებოდა აუდიო-ვიდეო ფორმატში, შედგა თითოეული ინტერვიუს ტრანსკრიპტი, რომელიც შემდგომ გაანალიზდა. ინტერვიუ ტარდებოდა როგორც სრულწლოვან, ისე არასრულწლოვან მსხვერპლებთან: ერთ შემთხვევაში, მონაწილეობას იღებდა არასრულწლოვანი, ორ შემთხვევაში კი – არასრულწლოვნების დედები. ყველა შემთხვევაში, მსხვერპლი იყო ქალი ან გოგო. ისინი იყვნენ გაუპატიურების და სექსუალური ძალადობის მსხვერპლები, რომელთა საქმეები მართლმსაჯულების სისტემაში 2019-2025 წლების განმავლობაში განიხილებოდა. კვლევის ჩატარების დროისთვის, ეს საქმეები მართლმსაჯულების სისტემაში სხვადასხვა ეტაპზე იმყოფებოდა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მსხვერპლების გარდა, ინტერვიუები ჩატარდა სექსუალური ძალადობის საკითხებზე მომუშავე რვა პრაქტიკოს ექსპერტთან. მათ შორის იყო ოთხი იურისტი და ოთხი ფსიქოლოგი. ინტერვიუები ექსპერტებთან ჩატარდა ჯგუფურად და ინდივიდუალურად. თითოეულ ინტერვიუირებულ ექსპერტს ჰქონია გაუპატიურებულ და სექსუალურ ძალადობაგამოვლილ ქალებთან და ბავშვებთან მუშაობის არაერთჯერადი გამოცდილება.

კვლევის შერჩევა - სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა მოძიება მოხდა ქალთა უფლებებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაცია "საფარის" ჩართულობით. "საფარი" დაუკავშირდა იმ რესპონდენტებს, რომლებსაც აქვთ სექსუალური ძალადობის გამოცდილება, და რომლებიც იურიდიულ დახმარებას იღებდნენ "საფარის" იურისტებისაგან. კვლევისთვის შეირჩა ის მონაწილეები, რომლებმაც თანხმობა განაცხადეს ამ კვლევაში მონაწილეობაზე. "საფარის" ჩართულობა იყო მნიშვნელოვანი იმდენად, რამდენადაც რესპონდენტებს გააჩნდათ ნდობა ამ ორგანიზაციის მიმართ.

პრაქტიკოსი ექსპერტების შერჩევა მოხდა მათი გამოცდილების მიხედვით. ეს არიან ადამიანები, რომლებიც უშუალოდ უწევენ დახმარებას სექსუალური ძალადობის მსხვერპლ ქალებს და გოგოებს იმ მომენტიდან, როცა მათ მსხვერპლებმა დახმარების მისაღებად მიმართეს. აღნიშნული პრაქტიკოსები ფლობენ მნიშვნელოვან ცოდნას და გამოცდილებას სექსუალური დანაშაულების გამოძიების და/ან სისხლისსამართლებრივი დევნის და/ან მსხვერპლთათვის დახმარების სერვისების მიწოდების კუთხით. ლიტერატურის მიმოხილვიდან ირკვევა, რომ პრაქტიკოსი ექსპერტების ჩართულობა გაცილებით უფრო სრულყოფილ სურათს იძლევა, რადგან შესაძლოა, მსხვერპლს დროთა განმავლობაში საკუთარი გამოცდილების დეტალები დაავიწყდეს, ან თავი შეიკავოს გაზიარებისგან, რეტრავმირების თავიდან ასაცილებლად, მაშინ, როცა პრაქტიკოსები ყურადღებას აქცევენ ასეთ დეტალებს და შეუძლიათ მართლმსაჯულების სისტემაში არსებული ხარვეზების განზოგადებაც.

შერჩევის ზომა - ლიტერატურის მიმოხილვამ გვიჩვენა, რომ შერჩევის ზომა განსხვავდება კვლევის მასშტაბიდან გამომდინარე, თუმცა, უმეტეს შემთხვევაში, სიღრმისეული ინტერვიუ ტარდება ძალადობის 10-18 მსხვერპლთან. არის უფრო მასშტაბური კვლევებიც. თუ მეთოდოლოგია მოიცავს ექსპერტებთან ინტერვიუსაც, მაშინ აქაც განისაზღვრება დაახლოებით იმავე რაოდენობის ჩაღრმავებული ინტერვიუ ექსპერტებთან. ჩვენს კვლევაში გამოკითხულ იქნა 11 მსხვერპლი და 8 პრაქტიკოსი ექსპერტი.

კვლევის შეზღუდვა - წინამდებარე კვლევა ვერ ჩაითვლება რეპრეზენტაციულად, ვინდაიდან მხოლოდ 19 ჩაღრმავებულ ინტერვიუს ეყრდნობა, თუმცა, საინტერესოა მართლმსაჯულების სისტემაში არსებული ის პრობლემური ტენდენციები, რაზეც რესპონდენტები საუბრობენ.

ეთიკური პრინციპები - აღსანიშნავია, რომ კვლევას გააჩნდა ეთიკური პრინციპები და მათ გასაცნობად ყველა ინტერვიუერმა გაიარა მომზადება მკვლევართან. ინტერვიუს დაწყების წინ, ინტერვიუერი დეტალურად უხსნიდა რესპონდენტს კვლევის მიზნებს და კითხვარის სტრუქტურას, ასევე, აცნობებდა მას, რომ მსხვერპლს ნებისმიერ მომენტში შეეძლო, თავი შეეკავებინა პასუხებისგან და შეეწყვიტა ინტერვიუ, თუ ამას საჭიროდ ჩათვლიდა. თავად ინტერვიუერები იყვნენ "საფარში" მომუშავე ქალი იურისტები, რომლებიც კარგად იცნობენ "არ ავნოს" პრინციპს და ინტერვიუს ჩატარების დროსაც მოქმედებდნენ ამ პრინციპით. უშუალოდ კითხვარის დაწყების წინ, ინტერვიუერებმა რესპონდენტებისაგან კვლევაში მონაწილეობაზე თანხმობა მიიღეს. ასევე, კვლევაში გამოყენებულია სრული დეიდენტიფიკაციის პრინციპი. ციტატებში რედაქტირებულია მინიმალური ჩარევით: სახელის ადგილას გამოყენებულია ნეიტრალური მონიშვნა. სხვა ცვლილებები ციტატების შინაარსში არ არის.

აღსანიშნავია, რომ ანგარიშში წარმოდგენილი ყველა ციტატა ეკუთვნის დაზარალებულებს და პრაქტიკოს ექსპერტებს. ციტატები ანონიმურია და ნებისმიერი დეტალი, რომელმაც შეიძლება, გამოამჟღავნოს მონაწილის ან ინციდენტის ვინაობა, მოხსნილია, მონაწილეთა ანონიმურობის დასაცავად.

ინტერვიუები გაანალიზებულია და დაყოფილია ექვს ძირითად ნაწილად:

- პოლიციისადმი მიმართვის გადაწყვეტილებაზე მოქმედი ფაქტორები;
- გამოძიება;
- ექსპერტიზა;
- პროკურატურა;
- სასამართლო;
- მართლმსაჯულების სისტემის გავლენა დაზარალებულის ცხოვრებაზე.

აღსანიშნავია, რომ თავდაპირველად, ექსპერტიზა არ წარმოადგენდა ჩვენი კვლევის საგანს. თუმცა, რადგან როგორც დაზარალებულებთან, ისე პრაქტიკოს ექსპერტებთან ინტერვიუებში მნიშვნელოვან პრობლემად გამოვლინდა ექსპერტიზები, ამიტომ კვლევაში ცალკე ქვეთავი დავუთმეთ ამ საკითხს.

კვლევის დასასრულს, მოყვანილია დასკვნები, რომელიც ეფუძნება წინამდებარე კვლევას და რეკომენდაციები, რომელიც ეყრდნობა როგორც მკვლევარის, ისე კვლევაში მონაწილე პრაქტიკოსების მოსაზრებებს და ლიტერატურის მიმოხილვაში გამოვლენილ საუკეთესო პრაქტიკებს.

03

ლიტერატურის მიმოხილვის ძირითადი მიგნებები

ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის შესაბამისად (ცნობილი, როგორც "სტამბოლის კონვენცია"), სექსუალური ძალადობა, მათ შორის გაუპატიურება, არის: „სხვა ადამიანის სხეულში, მისი თანხმობის გარეშე, სექსუალური ხასიათის ვაგინალური, ანალური ან ორალური შეღწევა სხეულის ნებისმიერი ნაწილის ან საგნის გამოყენებით; ადამიანთან, მისი თანხმობის გარეშე, სექსუალური ხასიათის სხვა აქტების განხორციელება; სხვა ადამიანის იძულება, მისი თანხმობის გარეშე, მესამე პირთან განახორციელოს სექსუალური ხასიათის აქტები[1]. თანხმობის მიცემა უნდა მოხდეს ნებაყოფლობით, პიროვნების ნების თავისუფალი გამოხატვის შედეგად, გარემომცველი პირობების გათვალისწინებით[2].

1 ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია, მუხლი 36¹

2 ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია, მუხლი 36²

ქალთა მიმართსექსუალური ძალადობა კვლავაც მნიშვნელოვან და ფართოდ გავრცელებულ პრობლემას წარმოადგენს მთელ მსოფლიოში, რაც გავლენას ახდენს იმ ქალების თითქმის ერთ მესამედზე, რომელთაც სიცოცხლეში ერთხელ მაინც გამოუცდიათ ფიზიკური და/ან სექსუალური ძალადობა პარტნიორის, არაპარტნიორის ან ორივეს მხრიდან[3]. არანაკლებ პრობლემას წარმოადგენს სექსუალურ ძალადობაზე ეფექტური რეაგირება, რაც ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში, როგორც საქართველოში, ისე – მთელს მსოფლიოში.

3 ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია (2021). ქალთა მიმართ ძალადობის გავრცელების შეფასებები, 2018: ქალთა მიმართ პარტნიორის მიერ ძალადობის გლობალური, რეგიონული და ეროვნული გავრცელების შეფასებები და ქალთა მიმართ არაპარტნიორის მიერ სექსუალური ძალადობის გლობალური და რეგიონული გავრცელების შეფასებები. https://www.who.int/publications/i/item/9789240022256

მიუხედავად საერთაშორისო კონვენციებისა, ეროვნულ დონეებზე საკანონმდებლო ბაზის საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზებისა და პრაქტიკის მიმართულებით გადადგმილი ქმედითი ნაბიჯებისა (მათ შორის, ინსტიტუციების გაძლიერება, სპეციალური სამსახურების შექმნა, სამართალდამცავების და სხვა ჩართული

მხარეების მომზადება), კვლავ პრობლემად რჩება მთელი რიგი საკითხები სექსუალური ძალადობისა და გაუპატიურების მსხვერპლთა მხრიდან შემთხვევების შესახებ შეტყობინების, სისხლისსამართლებრივი დევნისა და სასჯელის დაკისრების პროცესში. მათ შორის, **ერთ-ერთ უდიდეს გამოწვევად რჩება მსხვერპლებთან მოპყრობის ცოდნისა და გამოცდილების სიმწირე, რაც პრობლემას წარმოადგენს მსხვერპლთა მხრიდან მიმართვიანობისა და ეფექტური გამოძიების პროცესში.**

ზოგადი დასკვნისთვის, გაანალიზებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა საერთო გამოცდილება ნეგატიურია როგორც საქმის სასამართლოში განხილვამდე, ასევე – განხილვის მიმდინარეობისას და შემდგომ პერიოდშიც. სამართლიანობის მიღწევის ხანგრძლივი ლოდინი, ინფორმაციის ნაკლებობა, სხდომების გადადება და განაჩენთან დაკავშირებული შეზღუდული განმარტებები უარყოფითად აისახება მსხვერპლთა მენტალურ ჯანმრთელობაზე, მათ საგანმანათლებლო პროცესზე ან/და სამუშაოზე გარემოზე, ასევე, მათ გარშემო მყოფ ადამიანებზე. ამ გამოცდილებამ ბევრ მათგანს დაუტოვა ტრავმული მდგომარეობა. ზოგიერთი მსხვერპლი პოსტტრავმული სტრესული აშლილობის დიაგნოზით აღირიცხა, ჰქონდა სუიციდური აზრები ან/და სუიციდის მცდელობები. სხვადასხვა კვლევაში, ბევრი მონაწილე აღნიშნავდა, რომ სისხლის სამართლის პროცესის განმავლობაში, მათ თითქოს ცხოვრების შეჩერება მოუწიათ. ზოგიერთი მსხვერპლი სინანულით აღნიშნავს, რომ დანაშაულის შესახებ პოლიციაში განაცხადა და მართლმსაჯულების სისტემაში ჩაერთო. ბევრმა აღნიშნა, რომ სისტემისადმი ნდობა დაკარგა, თავს გაბრაზებულად და იმედგაცრუებულად გრძნობს. ზოგიერთი მათგანის მოსაზრებით მართლმსაჯულების სისტემას სრულიად აკლია თანაგრძნობა და ყურადღება მათ მიმართ, მათი კეთილდღეობის მიმართ[4] .

4 მოროზი, დანისმანი, 2024, სამართლიანობისთვის ტანჯვა, სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა გამოცდილება სასამართლოში მისვლასა და ჯვარედინ დაკითხვასთან დაკავშირებით, https://www.victimsupport.org.uk/wp-content/uploads/2024/10/Sufferingforjusticereport.pdf

ერთ-ერთ კვლევაში, მონაწილეები აღნიშნავენ, რომ მართლმსაჯულების პროცესის თითოეულ ეტაპზე განიცდიდნენ ინფორმაციისა და სიახლეების გაცნობის ნაკლებობას. აღმოჩნდა, რომ მსხვერპლებს ხშირად არ აწვდიან სრულად ინფორმირებულ ახსნას იმ სპეციალური ზომების შესახებ, რომელიც მათთვის ხელმისაწვდომია, რის გამოც, ისინი ვერ აკეთებენ გააზრებულ არჩევანს. ასევე, მათ ხშირად არ უხსნიან, თუ რატომ გადაიდო პროცესი, როცა ასეთი გადადება ხდება, და არც განაჩენის შინაარსს განუმარტავენ. მსხვერპლები აღნიშნავენ, რომ ამას მათი მენტალური ჯანმრთელობისთვის უდიდესი ნეგატიური შედეგები მოაქვს[5].

5 იქვე.

გარდა ინდივიდუალური გამოწვევებისა, გამოვლინდა, რომ ზოგიერთი სოციალური ჯგუფი, მსგავსი პრობლემის წინ აღმოჩენისას და მართლმსაჯულების პროცესში მონაწილეობისას, დამატებით ბარიერებს აწყდება, რის გამოც, ამ ჯგუფების წარმომადგენელთა ძალზე მცირე ნაწილი ახერხებს სასამართლო პროცესამდე მიღწევას. მათ შორის არიან: ლგბტქ თემის წარმომადგენლები, შშმ პირები, ფსიქოლოგიური პრობლემების მქონე ქალები, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები განსაკუთრებით ენობრივი ბარიერით, სექს მუშაკები, პირები, რომლებსაც წარსულში ჰქონდათ ურთიერთობა მართლმსაჯულების სისტემასთან, დამნაშავის სტატუსით[6].

6 სექსუალური დანაშაულის საქმეებში მოსარჩელეების სასამართლო სისტემის გამოცდილების შესწავლა, 2023. https://bocsar.nsw.gov.au/documents/publications/affiliated/ap69-BOSCAR_Interview_study_Exploring_justice_system_experiences_of_complainants_in_sexual_offence_matters.pdf

კვლევების ანალიზით, ასევე გამოიკვეთა, რომ მსხვერპლებს პრობლემები ექმნებათ ადგილსამყოფელის ცვლილების დროს. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში ჩატერებულმა კვლევამ გამოავლინა მრავალი შეუსაბამობა ინგლისისა და უელსის მასშტაბით. შეუსაბამობები შეეხებოდა ისეთ საკითხებს, როგორიცაა სპეციალური ზომების მოთხოვნის პასუხისმგებელი ორგანო, სასამართლო პროცესამდე ვიზიტების დაჯავშნის ხელმისაწვდომობა და სირთულე, როგორ და როდის ხდება ჩანაწერის ნახვა ან წაკითხვა სასამართლოსთვის მომზადების მიზნით და სექსუალური ძალადობის მხარდაჭერის მუშაკების თანხმობა დაზარალებულისთვის დაკითხვის დროს თანადგომაზე. შედეგად, მათთვის სასამართლოსთვის და დაკითხვისთვის მომზადება რთული იყო, რამაც გამოიწვია სტრესი და შფოთვა[7].

7 მოროზი, დანისმანი, 2024, სამართლიანობისთვის ტანჯვა, სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა გამოცდილება სასამართლოში მისვლასა და ჯვარედინი დაკითხვასთან დაკავშირებით. https://www.victimsupport.org.uk/wp-content/uploads/2024/10/Sufferingforjusticereport.pdf

ზოგიერთ კვლევაში გამოყენებულია ე. წ. "კალეიდოსკოპის მიდგომა": განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მსხვერპლთა პერსპექტივას იმის შესახებ, თუ რას ნიშნავს მათთვის „სამართლის აღსრულება" და როგორ აღიქვამენ ისინი საკუთარი შემთხვევების სამართლიანად გადაწყვეტის პროცესს. არსებული ემპირიული მტკიცებულებები მიუთითებს იმაზე, რომ მსხვერპლებისთვის სამართალი არ შემოიფარგლება მხოლოდ დამნაშავის იდენტიფიცირებითა და დასჯით. მათი ხედვით, სამართლიანობის განცდა გაცილებით ფართო და კომპლექსური ცნებაა, რომელიც სცდება ფორმალურ სამართლებრივ ჩარჩოებს და მოიცავს ემოციურ, სიმბოლურ და ფსიქოსოციალურ ელემენტებს. მსხვერპლთათვის მნიშვნელოვანი ასპექტებია: მართლმსაჯულების პროცესის შედეგი, მათი გამოცდილების ოფიციალური აღიარება, პერსონალური ღირსების პატივისცემა, მათი ხმისა და პოზიციის გათვალისწინება, დანაშაულის პრევენცია და შესაძლებლობა, დაუბრუნდნენ ნორმალურ, ფუნქციურ ცხოვრებას. კვლევებით გამოვლინდა, რომ ამ

ხედვისა და ემოციური საჭიროებების მიმართ სისტემური მგრძნობელობა უმეტესწილად ნაკლებია. მართლმსაჯულების სისტემის ყველა ეტაპზე – გამოძიებიდან სასამართლო პროცესამდე – მსხვერპლის განცდები და ფსიქოემოციური მდგომარეობა იშვიათად არის გათვალისწინებული, რის შედეგადაც, სამართლებრივი პროცესი ხშირად მათთვის უემოციო, არაემპათიური და დაუსრულებელი რჩება[8].

8 მაკგლინი, ვესტმარლანდი, 2018, კალეიდოსკოპიური სამართლიანობა: სექსუალური ძალადობა და მსხვერპლ-გადარჩენილების სამართლიანობის აღქმა. https://journals.sagepub.com/doi/pdf/10.1177/0964663918761200

თითქმის ყველა კვლევაში, დადებითად არის შეფასებული სექსუალური ძალადობის მხარდაჭერის მუშაკების (სოციალური მუშაკი) მიერ პროცესში გაწეული დახმარება. ისინი მსხვერპლებს ემოციურად ეხმარებიან ჩვენების მიცემის სტრესის დაძლევაში, ასევე ხანგრძლივი გამოძიებისა და სასამართლო პროცესების განმავლობაში. კვლევის მონაწილეები ამბობენ, რომ მათი სოციალური მუშაკები იყვნენ მათი მუდმივი საყრდენი, ზოგჯერ მრავალი წლის განმავლობაშიც კი, და ისინი ხშირად ავსებდნენ იმ სიცარიელეს, რომელსაც მართლმსაჯულების სტრუქტურები ვერ ფარავდნენ. ზოგიერთ მსხვერპლს მიაჩნია, რომ სოციალური მუშაკი გადამწყვეტია სასამართლო პროცესის დროს, მათ შორის – დაკითხვისას, რადგან ისინი დამოუკიდებლები არიან მართლმსაჯულების სისტემისგან, აქვთ გამოცდილება და კომპეტენცია სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერაში. ასევე, მათ შეუძლიათ ნდობის საფუძველზე მყარი ურთიერთობის ჩამოყალიბება დაზარალებულთან მთელი პროცესის განმავლობაში. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ სამართლებრივი პროცესის სხვადასხვა ეტაპზე არსებობს მხარდაჭერის შესაძლებლობა, ხელმისაწვდომობა ხშირად განსხვავებულია, ხოლო ორგანიზაციული რესურსი - შეზღუდული. ზოგჯერ, ეს დახმარება მაშინ სრულდება, როდესაც მსხვერპლებს ყველაზე მეტად სჭირდებათ. ამის გამო, ზოგიერთ ქვეყანაში მსხვერპლთა უმეტესობას არ გააჩნია სამართლებრივი პროცესის განმავლობაში თანმიმდევრული მხარდაჭერა ერთი და იმავე პირის მხრიდან[9].

9 სექსუალური დანაშაულის საქმეებში მოსარჩელეების სასამართლო სისტემის გამოცდილების შესწავლა, 2023. https://bocsar.nsw.gov.au/documents/publications/affiliated/ap69-BOSCAR_Interview_study_Exploring_justice_system_experiences_of_complainants_in_sexual_offence_matters.pdf

ზემოთჩამოთვლილი კვლევები ავლენდა პრობლემებს მართლმსაჯულების შემდეგ ეტაპებზე: 1. სექსუალური ძალადობის შესახებ შეტყობინების გაკეთების გამოცდილება; 2. სამართალდამცველებთან/პოლიციასთან ურთიერთობა, გამოძიებისა და მტკიცებულებების შეგროვების ეტაპი; 3. სასამართლო პროცესისა და სასჯელის დაკისრების პროცესი; 4. სასამართლოს შემდგომი გამოცდილება. ამ მხრივ გამოვლენილ პრობლემებს დეტალურად მიმოვიხილავთ.

სექსუალური ძალადობის შესახებ შეტყობინების გამოცდილება

სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა ნეგატიური გამოცდილებები, უმეტეს შემთხვევაში, ძალადობის ფაქტის შესახებ შესაბამის უწყებაში შეტყობინებით იწყება. თუმცა, ლიტერატურის მიმოხილვამ ასევე გამოავლინა, რომ სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა უმრავლესობა პოლიციაში მომხდარს არ აცხადებს. ზოგიერთი კვლევით, შესაძლებელი გახდა, გამოკვლეულიყო ინტერვიუში მონაწილეთა საწყისი ყოყმანის მიზეზები. მსხვერპლები აღნიშნავენ, რომ ზოგჯერ არ აღიქვამდნენ თავიანთ გამოცდილებას, როგორც სექსუალურ ძალადობას, ან არ მიაჩნდათ მომხდარი საკმარისად სერიოზულად, რომ პოლიციაში ეცნობებინათ; თუმცა, იყო შემთხვევები, როდესაც მსხვერპლები საკუთარ თავებს ადანაშაულებდნენ, ეშინოდათ სხვების, ან გამოცდილი ჰქონდათ საზოგადოების მხრიდან დადანაშაულება. ეს ტენდენცია განსაკუთრებით შეინიშნებოდა იმ შემთხვევებში, როდესაც მოძალადე იყო პიროვნება, რომელთანაც დაზარალებულს უკვე ჰქონდა ურთიერთობა[10].

> **10** სექსუალური დანაშაულის საქმეებში მოსარჩელეების სასამართლო სისტემის გამოცდილების შესწავლა, 2023. https://bocsar.nsw.gov.au/documents/publications/affiliated/ap69-BOSCAR_Interview_study_Exploring_justice_system_experiences_of_complainants_in_sexual_offence_matters.pdf

გარდა ამისა, გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც პოლიციისადმი შიშმა შეაფერხა მსხვერპლი, მიეღო გადაწყვეტილება მიმართვასთან დაკავშირებით. ეს შიში ზოგჯერ გამომდინარეობდა მართლმსაჯულების სისტემასთან კონტაქტის არარსებობის გამოცდილებიდან, ხოლო ზოგ შემთხვევაში – პირიქით, განმეორებითი კონტაქტისგან, პოლიციასთან გამოცდილი დისკრიმინაციული ურთიერთობის გამო.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ ზოგიერთი კვლევა ინტერვიუს მონაწილეებს საშუალებას აძლევდა, აეხსნათ, რატომ გადაწყვიტეს, საბოლოოდ მაინც ეცნობებინათ დანაშაული, მიუხედავად თავდაპირველი ყოყმანისა. ზოგიერთმა აღნიშნა, რომ სურდა, სიტუაციაზე კონტროლი დაებრუნებინა, სხვებმა კი თქვეს, რომ გრძნობდნენ იძულებას. საინტერესოა, რომ მსხვერპლთა უმრავლესობის მოტივი მოძალადის დასჯა კი არ იყო, არამედ ისინი უფრო მეტად ცდილობდნენ, მოძალადეს გაეაზრებინა, რომ მისი ქმედება იყო არასწორი და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, – სურდათ, თავიდან აეცილებინათ მსგავსი შემთხვევა სხვა ადამიანისთვის. **დადებით ალტერნატივად შეფასდა სექსუალური ძალადობის შეტყობინების ალტერნატიული ფორმა (SARO), რომელიც დაზარალებულს აძლევს საშუალებას, პოლიციას აცნობოს სექსუალური ძალადობის ფაქტი, ფორმალური საჩივრის გარეშე[11].**

> **11** სექსუალური დანაშაულის საქმეებში მოსარჩელეების სასამართლო სისტემის გამოცდილების შესწავლა, 2023. https://bocsar.nsw.gov.au/documents/publications/affiliated/ap69-BOSCAR_Interview_study_Exploring_justice_system_experiences_of_complainants_in_sexual_offence_matters.pdf

საინტერესო გამოცდილებები გამოვლინდა ავსტრალიაში ჩატარებული კვლევის ფარგლებში, როდესაც სექსუალური ძალადობის მსხვერპლებმა და სხვა ინფორმატორებმა აღწერეს დადებითი და უარყოფითი გამოცდილებები შეტყობინების გაკეთების დროს. დაზარალებულების მხრიდან, დანაშაულის შესახებ შეტყობინების კარგ გამოცდილებად ჩაითვალა: პოლიციის მხრიდან რწმენისა და მხარდაჭერის განცდა; პროცესში ჩართული ყველა პოლიციელისგან თანადგომის მიღება; სპეციალიზებულ გამომძიებლებზე წვდომა; ერთი და იგივე გამომძიებლის თანადგომა მთელი გამოძიების და სამართლებრივი პროცესის განმავლობაში. რაც შეეხება უარყოფით გამოცდილებებს, აქ დასახელდა: პირველი კონტაქტის დროს პოლიციელის მხრიდან ემპათიის ნაკლებობა; პოლიციის განყოფილების ფიზიკური გარემო, რომელიც იყო უცხო ან შემაშინებელი; დეტალური და ზოგჯერ შემაწუხებელი კითხვები ჩვენების მისაცემად; დაკითხვისას გაკიცხვის ან სირცხვილის განცდა; პოლიციის მხრიდან ტრავმაზე ორიენტირებული მიდგომის ნაკლებობა, მათ შორის იმის მიუხვედრელობა, თუ რატომ რეაგირებს დაზარალებული გარკვეული ფორმით, ან რატომ უჭირს დეტალების გახსენება; პოლიციის მხრიდან სექსუალური დანაშაულის არასერიოზულად აღქმა; გარკვეული კულტურული ჯგუფების სპეციფიკური საჭიროებების არცოდნა და მათთვის დამატებითი სირთულეების შექმნა; შეტყობინების შემდეგ ურთიერთობის არათანმიმდევრულობა და სხვ.[12]

12 სექსუალური დანაშაულის საქმეებში მოსარჩელეების სასამართლო სისტემის გამოცდილების შესწავლა, 2023. https://bocsar.nsw.gov.au/documents/publications/affiliated/ap69-BOSCAR_Interview_study_Exploring_justice_system_experiences_of_complainants_in_sexual_offence_matters.pdf

ნაშრომის „გაჩუმებული გადარჩენილები: ზრდასრული ქალების გაუპატიურებისა და სექსუალური ძალადობის შემთხვევების შესახებ ინფორმაციის მიწოდების, გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნისა და სასჯელის დაკისრების ბარიერების სისტემური მიმოხილვა“[13] მიხედვით, სადაც გაანალიზებულია ძალადობის მსხვერპლთა გამოცდილებების 28 კვლევა, არსებობს მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი ბარიერები სექსუალური ძალადობის ოფიციალურად გაცხადებასთან დაკავშირებით. აღნიშნული პუბლიკაციის მიხედვით, გამოვლინდა 30 უნიკალური ბარიერი, რომელთაგან პოლიციაში ოფიციალური გაცხადებისგან თავის არიდების შემთხვევაში, ყველაზე ხშირად მოხსენებული იყო: შიშები შესაძლო შედეგების გამო, მაგალითად, საყვარელი ადამიანის დაკარგვა ან პირადი უსაფრთხოების შიში; ასევე, თავის დადანაშაულება, სირცხვილი და/ან დანაშაულის განცდა; ასევე, მომხდარის მნიშვნელობის დამცრობა ან უარყოფა.

13 გაჩუმებული გადარჩენილები: ზრდასრული ქალების გაუპატიურებისა და სექსუალური ძალადობის შემთხვევების შესახებ ინფორმაციის მიწოდების, გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნისა და სასჯელის დაკისრების ბარიერების სისტემური მიმოხილვა, 2024, https://journals.sagepub.com/doi/10.1177/15248380241261404?int.sj-full-text.similar-articles.6

პოლიციასთან ურთიერთობა, გამოძიებისა და მტკიცებულებების შეგროვების ეტაპი

ლიტერატურის მიმოხილვამ ცხადყო, რომ გამოძიებისა და მტკიცებულებების შეგროვების ეტაპი ერთ-ერთი ყველაზე მგრძნობიარე ეტაპია, რომლის დროსაც არსებობს რეტრავმატიზაციის საფრთხე. ეს არის ის პროცესი, როდესაც მსხვერპლებს უწევთ ურთიერთობა სამართალდამცველებთან და გამომძიებლებთან. აღსანიშნავია, რომ ამ პროცესში ორი ტიპის პრობლემა იკვეთება: ერთია გამოძიების საჭიროებისთვის სათანადო მტკიცებულებების შეგროვება, რომელიც გადამწყვეტია გამოძიების შედეგებისთვის, ხოლო მეორე, ამ პროცესში მსხვერპლებთან სწორი მოქცევა და მათი განცდებია.

მტკიცებულებების შეგროვების ეტაპზე, ინტერვიუების შედეგად, გამოიკვეთა შემდგომი გამოწვევები: მსხვერპლებისგან ჩვენების აღების პროცესის სიჩქარე, ფრაგმენტულობა ან სისწორის/სიზუსტის ნაკლებობა; გაურკვევლობა იმის გარშემო, თუ რა ინფორმაცია იყო საჭირო და როგორ გამოიყენებოდა ეს ინფორმაცია გამოძიების ინტერესებისთვის; დამატებითი მტკიცებულებების შეგროვების არათანმიმდევრულობა, მაგალითად, მოწმეებთან ინტერვიუები ან ვიდეოკამერების ჩანაწერები; პოლიციის მხრიდან შემდგომი ნაბიჯების არარსებობა, რაც გრძელვადიან გამოძიებასა და კომუნიკაციის ნაკლებობასთან ერთად, ქმნის განცდას, რომ მსხვერპლი სისტემაში იკარგება; დაზარალებულების ინფორმაციის მიწოდების სიმწირე ან არარსებობა, გამოძიების გაგრძელებასთან დაკავშირებით, ან იმ შემთხვევაში, თუ სასამართლოში არ გრძელდება პროცესი, ამის მიზეზის ახსნა[14].

> **14** სექსუალური დანაშაულის საქმეებში მოსარჩელეების სასამართლო სისტემის გამოცდილების შესწავლა, 2023. https://bocsar.nsw.gov.au/documents/publications/affiliated/ap69-BOSCAR_Interview_study_Exploring_justice_system_experiences_of_complainants_in_sexual_offence_matters.pdf

რაც შეეხება ამ პროცესში მსხვერპლთან მოპყრობას, მისი ხელახალი ტრავმატიზაციის თავიდან აცილების მიზნით, აქ განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა პოლიციელებზე რეალურ დროში დაკვირვების მეთოდის შედეგად გამოვლენილი მიგნებები. განსაკუთრებით საინტერესოა დიდ ბრიტანეთში ჩატარებული კვლევა, სადაც მკვლევარები უშალოდ აკვირდებოდნენ პოლიციელების მხრიდან სექსუალური ძალადობის მსხვერპლებთან ურთიერთობის პროცესს. ანალიზის შედეგად, გამოვლინდა შემდეგი მიგნებები: [15]

> **15** სისტემური პროცედურული უსამართლობა, რომელსაც მსხვერპლი-გადარჩენილები აწყდებიან პოლიციის რეაგირებისას გაუპატიურებისა და „სერიოზული“ სექსუალური დანაშაულების დროს: ინგლისსა და უელსში ოთხი ძალის ყოვლისმომცველი კვლევა, 2025, https://www.sciencedirect.com/science/article/pii/S1756061625000321

მსხვერპლის მიერ კონტროლის დაკარგვა (losing agency) - მნიშვნელოვან გამოწვევად გამოიკვეთა სექსუალური ძალადობის მსხვერპლების მხრიდან კონტროლის დაკარგვის შეგრძნება, მას შემდეგ, რაც მათი საქმე პოლიციის ხელში გადადის. კონტროლის დაკარგვა შეიძლება, გამოიხატოს სხვადასხვა ფორმით, მათ შორის: როცა შეტყობინება პოლიციაში კეთდება მესამე პირის მიერ, ხოლო თვითონ მსხვერპლს ეს არ სურს; შემთხვევები, როდესაც პოლიციამ არ იცის, როგორ იმოქმედოს, თუ მსხვერპლი გამოძიებაში მონაწილეობის სურვილს არ გამოხატავს; ან შემთხვევები, როდესაც სამართალდამცავები უკავშირდებიან ისეთ შესაძლო მოწმეებს, რომელთა ჩართულობა თავად მსხვერპლისთვის არასასურველია. ზოგჯერ, ეს შეიძლება, იყოს ოჯახის წევრი, რომელსაც არ აქვს ინფორმაცია მომხდარი ინციდენტის შესახებ. დამატებით პრობლემად დასახელდა პოლიციის მხრიდან მსხვერპლთან კომუნიკაციის დაგვიანება. ხშირად, შემდეგი ზარი განხორციელებულია რამდენიმე კვირის დაგვიანებით, რაც აღიქმება, როგორც ემოციური მხარდაჭერისა და პროცესში ჩართულობის ნაკლებობა.

არათანმიმდევრული პრაქტიკა - დამკვირვებელ მკვლევართა მიერ, დაფიქსირდა არათანმიმდევრული პრაქტიკა, განსაკუთრებით – პირველადი რეაგირების დროს. ზოგიერთ ოფიცერს არ გააჩნია საკმარისი ცოდნა და გამოცდილება სექსუალური ძალადობის შემთხვევებზე რეაგირებისას, რაც იწვევს დაბნეულობას, პანიკასა და შფოთს. არაერთმა პირმა აღნიშნა, რომ არ იცოდა, რა ეთქვა, ან როგორ ემოქმედა ზარის მიღებისას, რაც მიუთითებს შესაბამისი ტრენინგისა და ინსტრუქციული მხარდაჭერის ნაკლებობაზე. გარდა ამისა, აღინიშნა ორი უკიდურესობა პირველადი გამოკითხვის დროს: ზოგიერთი ოფიცერი სვამს გადაჭარბებულად ბევრ კითხვას, რაც შეიძლება, აღიქმებოდეს, როგორც განმეორებითი ტრავმატიზაცია, ხოლო სხვა შემთხვევებში, შეკითხვები ზედმეტად ზედაპირულია და ვერ ხდება საკვანძო დეტალების იდენტიფიცირება. ორივე სცენარი ზეგავლენას ახდენს გამოძიების ხარისხზე.

ჰუმანური მიდგომის ნაკლებობა - დაზარალებულების მიერ ხშირად აღინიშნება, რომ ისინი **ვერ გრძნობენ, რომ მათ რეალურად უსმენენ.** პოლიციის წარმომადგენლები, ხშირ შემთხვევაში, მიჰყვებიან სტანდარტულ პროცედურებსა და წინასწარ განსაზღვრულ კითხვებს, რაც უგულებელყოფს ინდივიდუალურ ემოციურ მდგომარეობასა და რეალური დახმარების საჭიროებას. მაგალითად, ერთ-ერთმა დაზარალებულმა განსაკუთრებით ემოციური გამოცდილება აღწერა: თავს ისე ცუდად გრძნობდა, ეგონა, რომ მოკვდებოდა, ამ დროს კი პოლიციის ოფიცერმა პირველ რიგში ჰკითხა, რა რელიგიური რწმენის მატარებელი იყო, რაც დაზარალებულისთვის იყო უადგილო და დამამცირებელი. მსგავსი ქმედებები ხელს უშლის ნდობის ჩამოყალიბებას და იწვევს დამატებით იმედგაცრუებას უკვე ტრავმირებული პირისთვის.

პოლიციის მხრიდან მსხვერპლთა გამოკითხვის დროს, რამდენიმე დამატებითი გამოწვევა გამოიკვეთა, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია ხუმრობა ან არასერიოზული კომენტარები მსხვერპლთან მიმართებით. უადგილო ხუმრობა ამ ვითარებაში მსხვერპლის მხრიდან ემპათიისა და პატივისცემის ნაკლებობად აღიქმება. პრობლემად წარმოჩინდა, ასევე, ინტერვიუს ჩატარების ადგილი და ფიზიკური გარემოებები, რომელიც არ იყო კომფორტული მსხვერპლისთვის. გარდა ამისა, ხანდახან ინტერვიუს დროისა და ადგილის შერჩევა ხდება ისე, რომ უპირატესობა ენიჭება მტკიცებულებების შეგროვების ლოჯისტიკას და არა – დაზარალებულის ემოციურ მზაობასა და უსაფრთხოებას. ბოლოს, გამოწვევად გამოიკვეთა ტექნიკური ხასიათის შეკითხვების პირდაპირ დასმა, რამაც, შესაძლოა, უხერხულობა შეუქმნას მსხვერპლს.

იმ სტატიის მიხედვით, სადაც, როგორც უკვე აღინიშნა, მრავალი კვლევაა მიმოხილული, გამოვლინდა 22 უნიკალური ბარიერი სექსუალური ძალადობის ოფიციალური განცხადებების გამოძიების პროცესში[16]. ყველაზე ხშირად მოხსენებული ბარიერები გამოძიების პროცესში იყო: დანაშაულის ჩადენის დროს დაზარალებულის ალკოჰოლური ან ნარკოტიკული ზემოქმედების ქვეშ ყოფნა; სექს-მუშაკის სტატუსი; წინასწარი მიკერძოებული შეხედულება, რომ მსხვერპლები იგონებენ სექსუალური ძალადობის ფაქტებს; განცხადებაში არსებულ შეუსაბამობანი; წინასწარი მიკერძოება, რომ ქალები იყენებენ ცრუ განცხადებებს ყურადღების მიპყრობისა და/ან შურისძიების მიზნით; და ფიზიკური და/ან დამადასტურებელი მტკიცებულებების (მაგალითად, მოწმეების) ნაკლებობა. მსხვერპლთა ასეთი გამოცდილებები ნეგატიურად აისახება მათ ურთიერთობაზე საგამოძიებო უწყებებთან და იწვევს მათ სკეპტიციზმს, ნდობის ნაკლებობას პროცესის/სისტემის მიმართ. ამავე კვლევის სხვა მნიშვნელოვანი ბარიერები გამოძიების პროცესში იყო: მოძალადესთან წარსულში თანხმობით სექსუალური კონტაქტის არსებობა, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები, თანამშრომლობის ნაკლებობა და/ან განცხადების სრულად გაწვევა. ეს ბარიერები მოქმედებს – დაზარალებულის სანდოობაზე, მონათხრობზე და საქმის იმ ნიშნებზე, რომელიც გავლენას ახდენს ბრალის წარდგენასა და მოსამართლის ან ნაფიც მსაჯულთა მიერ განაჩენის გამოტანის ალბათობაზე.

> **16** გაჩუმებული გადარჩენილები: ზრდასრული ქალების გაუპატიურებისა და სექსუალური ძალადობის შემთხვევების შესახებ ინფორმაციის მიწოდების, გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნისა და სასჯელის დაკისრების ბარიერების სისტემური მიმოხილვა, 2024, https://journals.sagepub.com/doi/10.1177/15248380241261404?int.sj-full-text.similar-articles.6

საბოლოო ჯამში, ლიტერატურის მიმოხილვით გამოიკვეთა, რომ გამოძიების ეტაპზე დაშვებული შეცდომები, შეუსაბამობები და მტკიცებულებების ნაკლებობა პრობლემას ქმნის არამხოლოდ მსხვერპლთა რეტრავმატიზაციის ნაწილში, არამედ ართულებს საქმის სრულყოფილად შეფასებას, რამაც, შესაძლოა, გამოიწვიოს საქმის შემდგომი გამოძიებისა და საგამოძიებო უწყებებში გადაგზავნის შეფერხება.

კვლევების ანალიზმა აჩვენა, რომ მსხვერპლთა ნაწილმა, შედარებით მცირემ, გამოძიების პროცესის დროს გადაწყვიტა, რომ აღარ გაეგრძელებინა საქმის განხილვა. მიზეზთა შორის იყო საწყის ეტაპზე უარყოფითი გამოცდილების ან ოჯახისა და თემის რეაქციის შიში, მოგვიანებით - სასამართლოსთან დაკავშირებული შიშები და მათი პირადი ინფორმაციის საჯარო გახმაურების შიში.

სასამართლო პროცესის გამოცდილება

ლიტერატურის მიმოხილვამ დაადასტურა, რომ სასამართლო და ბრალდების პროცესი მრავალი დაზარალებულისთვის მტკივნეულად და ტრავმულად აღიქმება. სასამართლო პროცესი დაზარალებულებისთვის ხშირად გაუგებარია, მასზე არსებული ინფორმაცია კი – მიმოფანტული და დაქუცმაცებული. მნიშვნელოვანია სასამართლოსწინა თერაპია და მომზადება. უპირატესად განვითარებულ ქვეყნებში, მსხვერპლებს აქვთ შესაძლებლობა, მიმართონ ასეთ თერაპიას, რომელიც ეხმარებათ მათ სასამართლოს პროცესის მომზადებაში. წინასწარი სასამართლო თერაპიის დროს, მსხვერპლს არ შეუძლია, ისაუბროს ფაქტებზე, რომელიც პირდაპირ კავშირშია მათ სისხლის სამართლის საქმესთან. მსხვერპლები და თერაპევტები თავიდანვე თანხმდებიან, რომ თავი აარიდონ საქმის ფაქტების განხილვას და თერაპიული სესიების დროს ყურადღებას მსხვერპლის გრძნობებზე ამახვილებენ. ეს გამოცდილება დადებითად არის შეფასებული მსხვერპლების მხრიდან, თუმცა, ზოგჯერ მსხვერპლები მაინც იკავებენ თავს ასეთი თერაპიული სერვისის მიღებისგან, რადგან აქვთ შიში, რომ ეს ჩანაწერები მაინც გასაჯაროვდება და არ დარჩება ფარული[17].

> **17** რატომ უგულებელყოფს სასამართლო სისტემა გაუპატიურების მსხვერპლებს და რა უნდა შეიცვალოს, 2020, https://www.endviolenceagainstwomen.org.uk/wp-content/uploads/C-Decriminalisation-of-Rape-Report-CWJ-EVAW-IMKAAN-RCEW-NOV-2020.pdf

კვლევების დროს გამოიკვეთა არაერთი გამოწვევა, რომელიც სასამართლოში უარყოფით გამოცდილებასა და რეტრავმატიზებას იწვევს[18], მათ შორის: სასამართლო პროცესის ჩანიშვნის ხანგრძლივი პერიოდი, რაც არ აძლევს საშუალებას მსხვერპლს, დაასრულოს ეს პროცესი, შესაბამისად, არის მუდმივ სტრესში; სასამართლოზე დასწრებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი მანძილების გადალახვა, რაც ხშირად აშორებს დაზარალებულს საკუთარი მხარდაჭერის წრეს; სარჩელის განხილვისას ბრალდებულთან და მის მხარდამჭერებთან ფიზიკურად ახლო კონტაქტის აუცილებლობა, რაც იწვევს ახალ ტრავმას; ბრალდების შემცირება ან შეთანხმება, რაზე დისკუსიაც მათთვის არ არის სასიამოვნო; ასევე, დაზარალებული ხშირად ფაქტის მოხდენის შემდეგ იგებს ამ ამბავს; მტრული ან აგრესიული კითხვა-პასუხი ჯვარედინი დაკითხვის დროს; პროცესის ხანგრძლივი გაწელვა, ხანდახან წლების განმავლობაში, რაც უარყოფითად აისახება როგორც დაზარალებულის ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე, ისე – მოვლენების გახსენების უნარზე.

18 სექსუალური დანაშაულის საქმეებში მოსარჩელეების სასამართლო სისტემის გამოცდილების შესწავლა, 2023. https://bocsar.nsw.gov.au/documents/publications/affiliated/ap69-BOSCAR_Interview_study_Exploring_justice_system_experiences_of_complainants_in_sexual_offence_matters.pdf ; ჯვარედინი დაკითხვის გადააზრება: სექსუალური ძალადობისა და შევიწროების მსხვერპლთა რეტრავმირების შემცირება, 2025. https://journals.sagepub.com/doi/10.1177/1037969X251359080?utm_source=chatgpt.com

გარდა მტკივნეული და ნეგატიური გამოცდილებებისა, Sage Journals-ის მიერ მრავალრიცხოვანი კვლევის ანალიზის შედეგად გამოქვენებული სტატიის მიხედვით, კვლევების ფარგლებში გამოვლინდა 4 ბარიერი[19], რომელიც ხელს უშლის სექსუალური ძალადობის საქმეებზე სამართლიანი და ადეკვატური განაჩენის გამოტანას: 1. როდესაც მოძალადე არის დაზარალებულის ამჟამინდელი პარტნიორი; 2. როდესაც მოძალადე არის ყოფილი პარტნიორი. ამ ორ შემთხვევაში, მოსამართლეები ნაკლებად არიან მიდრეკილნი იმგვარი განაჩენის გამოტანისკენ, რომელიც სრულად ასახავს ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს. 3. კიდევ ერთ ბარიერად გამოიკვეთა სასამართლო სისტემის წარმომადგენელთა შორის შესაბამისი ტრენინგის ნაკლებობა, სექსუალური ძალადობის შემთხვევების სირთულისა და გავლენის გააზრების კუთხით. 4. და ბოლოს, სასამართლო სისტემა მთლიანობაში არ არის ადაპტირებული იმისთვის, რომ განიხილოს დაზარალებულების, მოწმეების და მათი ოჯახების საჭიროებები სასამართლო პროცესის განმავლობაში. ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი ზღუდავს მსხვერპლთა საჭიროებების სწორად გაგებას, ზრდის არამართებული გადაწყვეტილებების მიღების რისკს და შეიძლება, გამოიწვიოს დაზარალებულთა მეორეული ვიქტიმიზაცია.

19 გაჩუმებული გადარჩენილები: ზრდასრული ქალების გაუპატიურებისა და სექსუალური ძალადობის შემთხვევების შესახებ ინფორმაციის მიწოდების, გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნისა და სასჯელის დაკისრების ბარიერების სისტემური მიმოხილვა, 2024, https://journals.sagepub.com/doi/10.1177/15248380241261404?int.sj-full-text.similar-articles.6

კვლევებით გამოვლინდა დამატებით არაერთი ბარიერი, რომელიც ხელს უშლის სექსუალური ძალადობის შესახებ განცხადებების სისხლისსამართლებრივ დევნას. მაგალითად: დნმ-ის შემცველი მტკიცებულებების არარსებობა, ფიზიკური მტკიცებულებების და/ან სხვა დამადასტურებელი მტკიცებულებების (მაგ. მოწმეები) ნაკლებობა, მოსამართლეების მხრიდან ფაქტების თითქმის სრული სიცხადით დადგენის სურვილი და დაზარალებულის არასანდოდ აღქმა, სიტყვიერი ჩვენების გავლენის შემცირება, დაზარალებულის სურვილი, არ წარიმართოს საქმე სასამართლოში, მეხსიერების პრობლემები, ქალი პროკურორის შეზღუდული გამოცდილება, კაცი პროკურორები, ნაფიც მსაჯულებზე დაგვიანებული განაცხადის გავლენა, მაღალი სტანდარტი "გონივრულ ეჭვს მიღმა" განაჩენის გამოტანისთვის, საქმის შეწყვეტა და ის, რომ საქმეს არ ახლდა დამატებითი ოჯახური ძალადობის ფაქტორები (მაგალითად, თვალთვალი, კონტროლის მცდელობა). ყველა ეს ფაქტორი გავლენას ახდენს საქმის სიმძიმეზე და იმაზე, თუ რამდენად შესაძლებელია მოსამართლის მიერ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა[20].

20 სექსუალური დანაშაულის საქმეებში მოსარჩელეების სასამართლო სისტემის გამოცდილების შესწავლა, 2023. https://bocsar.nsw.gov.au/documents/publications/affiliated/ap69-BOSCAR_Interview_study_Exploring_justice_system_experiences_of_complainants_in_sexual_offence_matters.pdf

სასამართლოსთან დაკავშირებული პოზიტიური გამოცდილებები, კვლევების მიხედვით, ძირითადად განპირობებულია იმ მხარდაჭერით, რომელიც სასამართლოს გარეთ მოქმედებს. ეს შეიძლება, იყოს სპეციფიკური პროფესიონალების უწყვეტი თანადგომა (სპეციალიზებული გამომძიებლები, კონსულტანტები) ან არაპროფესიული რესურსები, როგორიცაა მხარდამჭერთა ჯგუფები, ოჯახი ან მეგობრები[21]. თუმცა, კვლევებმა ასევე აჩვენა, რომ მიუხედავად იმისა, რომ მართლმსაჯულების სისტემაში კონკრეტულ ეტაპებზე ხელმისაწვდომია დახმარება, დაზარალებულებისთვის იშვიათად არსებობს თანმიმდევრული, უწყვეტი მხარდაჭერა, სექსუალური ძალადობის შესახებ შეტყობინების მომენტიდან, პოლიციის გამოძიების განმავლობაში და საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო პროცესის დასრულებამდე.

21 იქვე.

სამედიცინო და სასამართლო ექსპერტიზის გამოცდილება

ზოგიერთ კვლევაში, მართლმსაჯულების სისტემის შეფასებასთან ერთად, მსხვერპლები აფასებენ სამედიცინო გამოცდილებასაც, როდესაც საქმე ექსპერტიზას ეხება. მსხვერპლები, რომლებმაც მიიღეს სამედიცინო და სასამართლო ექსპერტიზა ჯანდაცვის სისტემის ფარგლებში, უმეტესწილად, დადებითად აფასებდნენ ამ გამოცდილებას, განსაკუთრებით, თუ მათ დაუკავშირდათ სპეციალისტი კონსულტანტი. თუმცა, ზოგიერთი კვლევის ინტერვიუს მონაწილეებმა და ინფორმატორებმა ხაზი გაუსვეს რამდენიმე სირთულეს: ექსპერტების ხელმისაწვდომობის პრობლემებს, განსაკუთრებით რეგიონებში; არასაკმარის ცოდნას, როგორც დაზარალებულებში, ისე – ზოგიერთი პროფესიონალისა და მხარდამჭერი სამსახურის წარმომადგენლებში, ექსპერტიზის როლს გამოძიებასა და სამართლებრივ პროცესში; ზოგიერთ შემთხვევაში, დაზარალებულისთვის მიცემული არასწორი რჩევის გამო, ვერ იქნა აღებული სასამართლო მტკიცებულებები, რაც შესაძლოა, საქმის მსვლელობაზე უარყოფით გავლენას ახდენდა[22].

22 სექსუალური დანაშაულის საქმეებში მოსარჩელეების სასამართლო სისტემის გამოცდილების შესწავლა, 2023. https://bocsar.nsw.gov.au/documents/publications/affiliated/ap69-BOSCAR_Interview_study_Exploring_justice_system_experiences_of_complainants_in_sexual_offence_matters.pdf

სასამართლოს შემდგომი გამოცდილება

გარდა სექსუალური დანაშაულის შეტყობინებისა და სასამართლო პროცესის კვლევისა, ზოგიერთმა კვლევამ შეისწავლა ის გარემოებები, რაც გავლენას ახდენს დაზარალებულებზე, მართლმსაჯულების სისტემასთან ურთიერთობის შემდეგ. ამ

კვლევების მიხედვით, როგორც ინფორმატორებმა, ისე მსხვერპლებმა აღნიშნეს, რომ სასამართლო პროცესს, თუნდაც ბრალდებულის დამნაშავედ ცნობით ან ბრალის აღიარებით დამთავრების შემთხვევაში, შესაძლოა, მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა ჰქონდეს დაზარალებულის მომავალზე. ხშირ შემთხვევაში, პროცესის დასრულების შემდეგ, მხარდაჭერის ნაკლებობა დაზარალებულებში იწვევს განცდას, რომ ისინი დავიწყებულნი არიან, ან ბოლომდე ვერ იაზრებენ, რა მოხდა და რატომ[23].

23 მაკგლინი, ვესტმარლანდი, 2018, კალეიდოსკოპური სამართლიანობა: სექსუალური ძალადობა და მსხვერპლ-გადარჩენილების სამართლიანობის აღქმა. https://journals.sagepub.com/doi/pdf/10.1177/0964663918761200

ამ პრობლემას აუარესებს ის ფაქტი, რომ უმეტეს შემთხვევაში, არ არსებობს რესურსი, რომ სახელმწიფო ინსტიტუტებმა თუ სხვა ორგანიზაციებმა გრძელვადიან მხარდაჭერაზე იმუშაონ. კვლევების მონაწილეებმა განმარტეს, რომ სპეციალიზებული მხარდაჭერა, რომელსაც ისინი თავდაპირველად იღებენ, სასამართლოს ეტაპისთვის უკვე ამოწურულა, მაშინ, როცა თერაპიული მხარდაჭერა განსაკუთრებით საჭიროა სასამართლოში მძიმე გამოცდილების შემდეგ[24].

24 სექსუალური დანაშაულის საქმეებში მოსარჩელეების სასამართლო სისტემის გამოცდილების შესწავლა, 2023. https://bocsar.nsw.gov.au/documents/publications/affiliated/ap69-BOSCAR_Interview_study_Exploring_justice_system_experiences_of_complainants_in_sexual_offence_matters.pdf

კვლევებმა ასევე აჩვენა, რომ მართლმსაჯულების სისტემის, განსაკუთრებით სასამართლო პროცესის, ტრავმული ბუნების გამო, მსხვერპლები მომავალი სექსუალური ძალადობის შემთხვევაში, დიდი ალბათობით, აღარ შეატყობინებენ პოლიციას. თუმცა, მცირე ნაწილმა აღნიშნა, რომ მიუხედავად უარყოფითი გამოცდილებისა, ისინი არ ნანობენ, რომ სცადეს, რადგან საკუთარ თავთან ვალდებულებას გრძნობდნენ[25].

25 გაჩუმებული გადარჩენილები: ზრდასრული ქალების გაუპატიურებისა და სექსუალური ძალადობის შემთხვევების შესახებ ინფორმაციის მიწოდების, გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნისა და სასჯელის დაკისრების ბარიერების სისტემური მიმოხილვა, 2024, https://journals.sagepub.com/doi/10.1177/15248380241261404?int.sj-full-text.similar-articles.6; მაკგლინი, ვესტმარლანდი, 2018, კალეიდოსკოპური სამართლიანობა: სექსუალური ძალადობა და მსხვერპლ-გადარჩენილების სამართლიანობის აღქმა. https://journals.sagepub.com/doi/pdf/10.1177/0964663918761200

მსგავსად, ბევრმა ექსპერტმა, რომლებიც თავად მუშაობენ მართლმსაჯულების სისტემაში და ცდილობენ მის გაუმჯობესებას, განაცხადეს, რომ არ ურჩევდნენ ოჯახის წევრს, განეცხადებინა სექსუალური ძალადობის შემთხვევა. ზოგიერთმა მათგანმა აღნიშნა, რომ თავადაც არ შეატყობინებდა ასეთ შემთხვევას. ბევრი მათგანი მართლმსაჯულების სისტემას „ხარვეზიანად“[26] ახასიათებდა და იმედგაცრუებას გამოთქვამდა იმ შეზღუდვებზე, რაც მათ დაზარალებულებისთვის სრულფასოვანი დახმარების გაწევაში უშლის ხელს. მათ შორის, მაღალი მოთხოვნის, მომსახურების წვდომის ხარვეზებისა და თვითონ პროცესით დაზარალებულებზე ზემოქმედების გამო.

26 სექსუალური დანაშაულის საქმეებში მოსარჩელეების სასამართლო სისტემის გამოცდილების შესწავლა, 2023. https://bocsar.nsw.gov.au/documents/publications/affiliated/ap69-BOSCAR_Interview_study_Exploring_justice_system_experiences_of_complainants_in_sexual_offence_matters.pdf

04

სექსუალური ძალადობის მსხვერპლებთან და პრაქტიკოს ექსპერტებთან ინტერვიუების ანალიზი

წინამდებარე თავი წარმოადგენს სექსუალური ძალადობის მსხვერპლ ქალებთან და და პრაქტიკოს ექსპერტებთან თემატურ-ნარატიულ ანალიზს. ამ თავის მიზანია, მსხვერპლის მონათხრობზე დაყრდნობით გააანალიზოს, რა ბარიერებს და გამოცდილებებს აწყდება ქალი მართლმსაჯულების სისტემაში: გადაწყვეტილების მიღება პოლიციაში მიმართვაზე, პოლიციაში გამოკითხვის გარემო, ინფორმირებულობა, ექსპერტიზები, პროკურატურა, სასამართლო განხილვა და საბოლოო გავლენა ქალის ცხოვრებაზე. ყველა დასკვნა ეფუძნება მხოლოდ ინტერვიუებში წარმოდგენილ ნარატივებს. ერთეული ინტერვიუს პირობებში, ჩვენი მიზანია შემთხვევების სიღრმისეულ აღწერა.

პოლიციისადმი მიმართვის გადაწყვეტილებაზე მოქმედი ფაქტორები

როგორც იურისტი, ასევე ფსიქოლოგი ექსპერტები აღნიშნავენ, რომ მსხვერპლებმა ხშირად არ იციან თავიანთი უფლებები, არ იციან, რა არის თანხმობის ნაკლებობა, არ იციან, რომ მეუღლეებსაც შეუძლიათ, უჩივლონ გაუპატიურებაზე და ამის ერთ-ერთ მიზეზად საკანონმდებლო ხარვეზს ასახელებენ. მსხვერპლებს ჰგონიათ, რომ კანონმდებლობის ფორმულირება, რომელიც გულისხმობს ძალადობის კვალის არსებობას ან ფიზიკურ დაზიანებას, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმისთვის, რომ თავი დააიდენტიფიცირონ მსხვერპლად.

კვლევის შედეგად ვლინდება, რომ პოლიციისადმი მიმართვის გადაწყვეტილებაზე ოთხი ძირითადი ფაქტორი ახდენს გავლენას:

- კულტურული სტერეოტიპები;
- მხარდამჭერთა გავლენა;
- მართლმსაჯულების სისტემის მიმართ დაბალი ნდობა;
- მსხვერპლის შინაგანი გრძნობები და ფსიქოლოგიური მდგომარეობა.

თითოეულ მათგანზე საუბრობენ როგორც ექსპერტები, ისე – ძალადობაგამოვლილი ქალები. ექსპერტების შეფასებით, პოლიციისთვის მიმართვის გადაწყვეტილება სექსუალური ძალადობის მსხვერპლებისთვის მნიშვნელოვან ფსიქოლოგიურ და სოციალურ ბარიერებთან არის დაკავშირებული. ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად სახელდება სირცხვილის განცდა და საზოგადოების მხრიდან განსჯის მოლოდინი. ექსპერტები მიუთითებენ, რომ მსხვერპლებს ხშირად აქვთ შიში, რომ მომხდარზე პასუხისმგებლობა თავად დაეკისრებათ, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს სამართლებრივი რეაგირების სურვილს.

კულტურული სტერეოტიპები

პრაქტიკოსი იურისტები თანხმდებიან, რომ ქალის გადაწყვეტილებაზე, მიმართოს პოლიციას სექსუალური ძალადობის შემთხვევაში, მთავარი ბარიერია ის გენდერული სტერეოტიპები, რომელიც გავრცელებულია როგორც ფართო საზოგადოებაში, ასევე – მართლმსაჯულების სისტემაშიც. მათი შეფასებით, საზოგადოებაში არის გავრცელებული მოსაზრებები, რომ მსხვერპლებმა თავად ჩაიგდეს თავი სახიფათო ვითარებაში და მათი ბრალია, სექსუალური ძალადობის მსხვერპლნი რომ გახდნენ. ისინი აღნიშნავენ, რომ ჩვენს საზოგადოებაში ძალადობაში მხილებულ ადამიანს უფრო მეტი მხარდაჭერა აქვს, რადგან მსხვერპლის წინააღმდეგ არსებობს მსხვერპლის დამადანაშაულებელი განწყობები. იურისტი ექსპერტი აღნიშნავს: *„ხშირად არის ხოლმე ესეთი განწყობები, რომ მსხვერპლის ნათქვამის მათ [პოლიციას] არ სჯერათ და აპრიორი ფიქრობენ, რომ მსხვერპლი ამბავს იგონებს“.*

მხარდამჭერთა გავლენა

მსხვერპლებთან ინტერვიუები გვიჩვენებს, რომ ზოგჯერ ქალის გადაწყვეტილებაზე, მიმართოს თუ არა პოლიციას, გავლენას გარშემო მყოფები ახდენენ. როგორც წესი, მეგობრები ურჩევენ ქალს, მიმართოს პოლიციას, ხოლო ოჯახის წევრებისაგან მხარდაჭერა ზოგჯერ არის, ზოგჯერ კი - არა. ერთ-ერთი რესპონდენტი იხსენებს: *„მეგობარი იყო ჩემთან ერთად და მაგიტო გავბედე, რომ მიმემართა... ოჯახის წევრები არ მეხმარებოდნენ და პირიქით, ცდილობდნენ, რომ არ მიმემართა პოლიციისთვის“.* მეორე მსხვერპლი რესპონდენტი გვიამბობს: *„დანაშაულის შესახებ პოლიციისთვის მე არ მიცნობებია. ჩემმა ოჯახის წევრებმა აცნობეს მას შემდეგ, რაც მოძალადემ ყველა ჩემს ნაცნობს დაურეკა და უთხრა, რომ ასეთ რაღაცას მაბრალებთო“.* ინტერვიუებში გამოჩნდა, რომ მეგობრები და ოჯახის წევრები, რიგ შემთხვევებში, ჯერ ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციებს მიმართავენ და მერეღა – მართლმსაჯულების სისტემას.

სისტემისადმი დაბალი ნდობა

გარდა სოციალური სტიგმისა, ექსპერტები საუბრობენ სამართალდამცავი სისტემის მიმართ უნდობლობაზე. მათი დაკვირვებით, მსხვერპლებს ხშირად არ აქვთ მოლოდინი, რომ მათ მონაყოლს სერიოზულად მიიღებენ ან საქმე შედეგამდე მივა. ეს მოლოდინი დაკავშირებულია როგორც წარსულ პრაქტიკასთან, ასევე საზოგადოებაში გავრცელებულ წარმოდგენებთან სექსუალური ძალადობის საქმეების „დამტკიცების სირთულის“ შესახებ. ექსპერტების შეფასებით, აღნიშნული ფაქტორები ხშირად ერთობლივად მოქმედებს და ქმნის სისტემურ ბარიერს პოლიციისთვის მიმართვაში.

მსხვერპლები, რომლებმაც დაუყოვნებლივ მიმართეს პოლიციას, ფიქრობდნენ, რომ დაყოვნების შემთხვევაში სიმართლის დამტკიცება გამოძიებას გაუჭირდებოდა: *„რომ მომეცადა, ვიცოდი, რომ პოლიცია უფრო მეტ სამხილს და საჭირო მასალას ვერ მოიძიებდა“.*

კვლევაში დაფიქსირდა ერთი ძალიან ყურადსაღები შემთხვევა, როდესაც ქალმა გაუპატიურების ფაქტი პოლიციას არ გაანდო და მხოლოდ ცემასა და მუქარაზე იჩივლა. მიუხედავად იმისა, რომ ამ ქალს ჰყავდა არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ გამოყოფილი კვალიფიციური იურისტი, რომელიც არწმუნებდა მას, რომ პოლიციისთვის გაუპატიურების ფაქტიც გაემხილა, მაინც ვერ შეძლო მისი დარწმუნება. რესპონდენტი დეტალურად ხსნის მოტივაციას, თუ რატომ შეიკავა თავი ჩივილისაგან და ერთ-ერთი პრობლემა, რომელიც იკვეთება, არის ნდობის ნაკლებობა პოლიციის მიმართ. ის ამბობს: *„მე ბევრჯერ ვიყავი ძალადობის მსხვერპლი. ბევრჯერ მივმართე პოლიციას და რა ვიცი, მაგათმა ნორმალურად ვერაფერი გააკეთეს. შემაკავებელი ორდერის გაცემაზე მაწვალებდნენ... ვიფიქრე, შემაკავებელს ვერ აკონტროლებენ და გაუპატიურებას რანაირად გამოიძიებენ–თქო, თან გაუპატიურებიდან ერთი კვირა იყო გასული, ტანსაცმელი გადაყრილი მქონდა“.* იგივე რესპონდენტი არ ენდობა ექსპერტიზასაც, რადგან მიაჩნია, რომ თუ ექსპერტიზა დაზიანებებს ვერ დაადგენდა, მარტო ქალის მონაყოლი საკმარისი არ იქნებოდა და ამიტომ ვერ გაბედა. მსხვერპლი, ასევე, უნდობლობას გამოხატავს პროკურატურის მიმართაც: *„პროკურორი კიდე თავს არ მოიკლავდა ამ საქმეზე. ჩემ ყოფილთანაც გამიტყდებოდა, ხო მეტყოდა, ნახე რა გაგიკეთე და მაინც არაფერი გამოგივიდაო“.*

კვლევაში მონაწილეობდნენ სექსუალური ძალადობის მსხვერპლი არასრულწლოვნების დედები. ერთმა პოლიციას მიმართა მას შემდეგ, რაც ნახა, რომ შვილი ტიროდა, როცა ამ ამბავს უყვებოდა დედას. მეორე შემთხვევაში კი, ძალადობის შესახებ ინფორმაცია პოლიციას ფსიქოლოგმა აცნობა. ამ შემთხვევაში, დედამ თავი პოლიციისადმი მიმართვისგან იმიტომ შეიკავა, რომ მისი შვილები შშმ პირები არიან. როგორც ერთ-ერთი მათგანი იხსენებს, *„გონებრივი პრობლემების გამო იყო, რომ მეშინოდა... ყველა იმას იფიქრებდა, რომ ეჩვენებოდათ ბავშვებს რაღაცეები. მე ჩემი შვილების კი მჯეროდა, მაგრამ სხვა როგორ დაიჯერებდა?“*

მნიშვნელოვან პრობლემად იკვეთება კონფიდენციალობაც, რომლის დაუცველობის სიმწვავე განსაკუთრებით აქტუალურია რეგიონებში. ერთ-ერთი ფსიქოლოგის თქმით, *„კონფიდენციალობა არ არის დაცული და რომ იჩივლონ, მერე მთელ მათ სანათესაოს და საახლობლოს უნდა მოედოს ეს ინფორმაცია და გახდეს თითის გასაშვერი და სირცხვილის გრძნობა იწყებს ზემოთ ამოსვლას“.* იურისტი ექსპერტები ამბობენ, რომ კონფიდენციალობის დარღვევას მსხვერპლები უკავშირებენ თავიანთ მომავალს პირად ცხოვრებაშიც და კარიერაშიც. ისინი თვლიან, რომ გაუპატიურების გახმაურებამ შესაძლოა, გაუფუჭოს მომავალი და ამიტომ, უარს ამბობენ პოლიციაში მიმართვაზე.

მსხვერპლის შინაგანი მდგომარეობა

ექსპერტი ფსიქოლოგები ამბობენ, რომ რეტრავმატიზაციას იწვევს ბრალეულობის და სირცხვილის განცდის გაღვივება დაზარალებულში, რადგან მას სირცხვილის და ბრალეულობის განცდა ისედაც აქვს სექსუალური ძალადობის შემთხვევების დროს. ერთ-ერთი მათგანი ამბობს, რომ გაუპატიურების მსხვერპლი ქალები არ მიმართავენ პოლიციას შემდეგი მიზეზების გამო: *„პირველ რიგში, არის შიში და სირცხვილი, საზოგადოებისგან განსჯის, დადანაშაულების მოლოდინი“.*

ექსპერტები ამბობენ, რომ პოლიციაში მიმართვის განმსაზღვრელი კრიტერიუმი არის უსაფრთხოება: ერთი მხრივ, ქალები პოლიციას მიმართავენ მაშინ, როცა ძალიან დიდი საფრთხის ქვეშ არიან და „პოლიციისათვის მიმართვა არის მათი ბოლო შანსი“, და მეორე მხრივ, მსხვერპლი მაშინ მიმართავს პოლიციას, როდესაც ის თავს უსაფრთხოდ გრძნობს, როდესაც მასზე ზეწოლა მოძალადეს აღარ შეუძლია.

როგორც ექსპერტები აღნიშნავდნენ, უსაფრთხოება მართლაც მნიშვნელოვანი კომპონენტია პოლიციისადმი მიმართვის გადაწყვეტაში. როგორც ერთ-ერთი მსხვერპლი იხსენებს, *„როგორც კი ჩამოვშორდი მოძალადეს და დავრწმუნდი ჩემს უსაფრთხოებაში, დაუყოვნებლივ დავრეკე ჩემ მეგობრებთან... მათაც მითხრეს, რომ აი, ვსო, უნდა წავიდეთ [პოლიციაში]“.*

მსხვერპლის გადაწყვეტილებაზე უსაფრთხოების საკითხისა და მოძალადის მხრიდან მუქარის ზეგავლენა მნიშვნელოვანი გარემოებაა. ერთ-ერთი რესპონდენტი იხსენებს: *„მუქარის მიმანიშნებელი ფრაზებიდან და ტექსტებიდან გამომდინარე, გადავწყვიტე, რომ მაშინვე უნდა მივსულიყავი [პოლიციაში], იმიტომ, რომ ამ მუქარაში და ამ შიშში ვერ ვიცხოვრებდი“.* სხვა მსხვერპლის მონათხრობის თანახმად, *„თავიდანვე გადაწყვეტილი მქონდა, რომ წავსულიყავი, როცა ეს ფაქტი მოხდა... არავინ არ იცის, თუ მსხვერპლს მოძალადე როგორ დაედევნება და საიდან უთვალთვალებს ამ ფაქტის შემდეგ“.*

გაუპატიურების მსხვერპლების მონაყოლში ხშირად ჩნდება სხვა ქალების დახმარების მოტივი, როგორც პოლიციაში მიმართვის გადაწყვეტილების მნიშვნელოვანი ფაქტორი. ერთ-ერთი დაზარალებულის თქმით, *„გაჩუმებით სხვის მომავალს და*

საკუთარ თავს სპობ, ესე რომ ვთქვათ, და ანადგურებ, იმიტომ, რომ სხვასაც საფრთხეში აყენებ, იმიტომ, რომ არავინ იცის, ის პიროვნება რას ჩაიდენს სხვასთან და რა მოუვა იმ სხვას“. ერთი არასრულწლოვანი მსხვერპლი იხსენებს: *„მე თვითონ მივიღე ეგ გადაწყვეტილება, არ მინდა, რომ სხვა გოგომ, სხვა ქალმა, იგივე გაიაროს, და ვიცოდი, რომ არ გაჩერდებოდა, იმიტომ, რომ პირველი გოგო არ ვარ, ვისაც ეს გაუკეთა“.*

ასევე, მსხვერპლისთვის შემაკავებელი ფაქტორი იყო სირცხვილი. ის ამბობს, რომ განსაკუთრებით მოერიდა საკუთარი მამის და მამამთილის, რომლებსაც „კარგ კაცებად“ მოიხსენიებს. საბოლოო ჯამში, მსხვერპლს არ აქვს ნდობა მთლიანად მართლმსაჯულების სისტემის მიმართ. ის ამბობს: *„არავის იმედი არ მქონდა... გაუპატიურებას ვერ გაქაჩავდნენ, ვიცი. მე მაწვალებდნენ სულ ტყუილად...“.* მსხვერპლი დღემდე ფიქრობს, რომ სწორი იყო პოლიციისადმი მეუღლის მხრიდან გაუპატიურების შემთხვევაზე არმიმართვის გადაწყვეტილება. ამ შემთხვევაში, ვხედავთ, როგორი გადაჯაჭვულია ერთმანეთთან მსხვერპლის ფსიქოლოგიური მდგომარეობა, საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპები და სისტემისადმი უნდობლობა.

გამოძიება

გამოკითხვა

გამოკითხვის ეტაპი არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპი მსხვერპლისათვის. პრაქტიკულად, მისთვის ეს არის პირველი და ყველაზე შთამბეჭდავი შეხება მართლმსაჯულების სისტემასთან. კვლევიდან იკვეთება, რომ მსხვერპლებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს გამომძიებლის სქესს და მისი გადამზადების დონეს, რათა შემცირდეს სტერეოტიპული დამოკიდებულებები. ასევე, უაღრესად მნიშვნელოვანია გამოკითხვის წესი, ხანგრძლივობა, კითხვები, განმეორების თავიდან აცილება და კონფიდენციალობა.

გამომძიებლის სქესი

როგორც ფსიქოლოგი, ისე იურისტი ექსპერტები ამბობენ, რომ მსხვერპლისთვის მნიშვნელოვანია, ჰქონდეს საშუალება, სქესის მიხედვით აირჩიოს გამომძიებელი პოლიციელი. მსხვერპლებს ისედაც ძალიან უჭირთ თავიანთ ტრავმულ გამოცდილებაზე პოლიციასთან საუბარი. ერთ-ერთი ფსიქოლოგი აღნიშნავს: *„კაცებთან არ ყვებიან, სინამდვილეში სრულყოფილად რა მოხდა, რატომ მოხდა“.* ექსპერტი იურისტი ამბობს, რომ მსხვერპლს გამოკითხვა მხოლოდ იმიტომ გადაუდია, რომ იმ დღეს ქალი გამომძიებელი არ იყო, ხოლო დაზარალებულისთვის

მნიშვნელოვანი იყო გამომძიებლის სქესი. ერთ-ერთი მსხვერპლიც იხსენებს, რომ მოითხოვა ქალი ადვოკატი: *„როგორ შეიძლება, მე მოვუყვე ახალგაზრდა კაცს ჩემი სექსუალური ცხოვრება?!“.*

ბევრ პოლიციელთან კომუნიკაცია და განმეორებითი მოყოლა

იურისტი ექსპერტები საუბრობენ პრობლემაზე, როდესაც მსხვერპლს არაერთხელ უწევს პოლიციის სხვადასხვა თანამშრომელთან კომუნიკაცია დანაშაულის შესახებ. ეს პრობლემურია რამდენიმე თვალსაზრისით. ერთი მხრივ, მსხვერპლისთვის ძნელია მატრავმირებელი გამოცდილების ბევრჯერ გამეორება, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ ამ პოლიციელთა უმრავლესობა კაცია, მაგრამ, ეს სხვა დამატებით პრობლემებსაც ქმნის გამოძიებაში: როდესაც დაზარალებული ფრაგმენტულად ყვება დანაშაულის შესახებ რამდენიმე ადამიანთან, შესაძლოა, *“უბრალოდ აღარ ჩათვალოს საჭიროდ გამომძიებელს უთხრას ის, რაც მაგალითად, რომელიმე დანაყოფის უფროსს უთხრა. შეიძლება, მან აღიქვას, რომ... თუ სხვასთან დააფიქსირა, ესეც იქნება ოფიციალურად მონიშნული“.* კვლევის მონაწილე ყველა პრაქტიკოსი ექსპერტი თანხმდება, რომ აუცილებელია, არსებობდეს დეტალური გაიდლაინი ან ინსტრუქცია იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა გამოიკითხოს მსხვერპლი.

ერთ-ერთი მსხვერპლი, რომელსაც ბევრ პოლიციელთან მოუწია კომუნიკაცია, გვიამბობს: *„ადამიანს სახეზე რომ შევხედავდი, ვარჩევდი უკვე, ვის სჯეროდა ჩემი და ვის არ სჯეროდა... მივხვდი, რომ თავიდან ბევრ ადამიანს გაუჭირდა იმის დაჯერება, რომ მე ვიყავი დაზარალებული და დახმარება მჭირდებოდა და ვხვდებოდი, რომ ეჭვი ეპარებოდათ“.*

ერთ-ერთი რესპონდენტი დეტალურად იხსენებს, თუ რამდენ ადამიანთან მოუწია კომუნიკაცია. ჯერ გასაუბრება მოუწია მისაღებში, როგორც თვითონ მოიხსენიებს, „ადმინისტრატორთან“. კიდევ ერთ ადამიანს ესაუბრა 5 წუთის ლოდინის შემდეგ. შემდეგ ესაუბრა გამომძიებელს დაახლოებით 20 წუთი, რომელმაც აცნობა, რომ პოლიციის სხვა განყოფილებაში უნდა გადასულიყო, რადგან სხვა ტერიტორიას ეკუთვნოდა გამოძიება. ის პოლიციის მანქანითვე გადაიყვანეს სხვა განყოფილებაში. მსხვერპლი იხსენებს, რომ მანქანაში ის სვამდა შეკითხვებს, მაგრამ ყველა შეკითხვაზე პასუხი იყო „არ ვიცი“. ახალ განყოფილებაში ჯერ ესაუბრა განყოფილების უფროსს, შემდეგ – ერთ გამომძიებელს, შემდეგ მოვიდა მეორე, მთავარი გამომძიებელიც. მეორე დღეს, საქმეში ჩაერთო კიდევ ერთი გამომძიებელი, ამჯერად ქალი. სწორედ ამ ქალ გამომძიებელს იხსენიებს რესპონდენტი ყველაზე დადებითად, ხოლო სამმართველოს უფროსს იხსენიებს ნეგატიურად და ახასიათებს აგრესიულად, რომელიც მას საყვედურობდა, რადგან გაუპატიურება გადახდა. ასევე, ეს მსხვერპლი ნეგატიურად ახასიათებს პირველ ინტერაქციას განყოფილებაში: *„განყოფილებაში რომ შედიხარ და როცა გხედავენ ესეთ მდგომარეობაში, რომ სახე წაშლილი გაქვს და*

აქეთ რაღაც სილურჯეები გეტყობა ცალ ლოყაზე და იქეთ უკან შენი გაოგნებული ორი მეგობარი გიდგას, მე მგონი, მსგავსი ტონით არ უნდა გაესაუბრო ადამიანს... ეს არის ელემენტარული ადამიანობა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, აი, ადამიანი რომ შემოდის ღამის სამ საათზე და გეუბნება, რომ რაღაცა უჭირს, შენ ესე სათვალიდან არ უნდა ამოხედო და რაღაცა ცუდი კითხვები არ უნდა დაუსვა".

კიდევ ერთი 17 წლის დაზარალებული ამბობს, რომ 7-8 ჯერ მოაყოლეს გაუპატიურების ისტორია: *„ერთი და იგივესაც ვუყვებოდი და სხვადასხვასაც, ანუ ყველას მოვუყევი 2-2 ჯერ, მე მგონი. ერთი იყო განყოფილების უფროსი, გამომძიებელი, კიდევ არ ვიცი, ვის ვუყვებოდი, კიდე ერთი 7 კაცი იჯდა და თავიდან მაყოლებდნენ ხოლმე... ყვები როგორ გაუპატიურებდნენ 7 კაცში, არ არის მარტივი, არც მოსაყოლად, არც მოსასმენად, ძალიან ცუდი რაღაცაა...".* როგორც ჩანს, ეს დაზარალებული იკითხებოდა საერთო სივრცეში: *„რომ შედიხარ, ხომ არის მთლიანი „ფლორი" და ხო ზიან, მანდ ვიჯექი ჩვეულებრივად და მანდ ვყვებოდი...".*

სხვა მსხვერპლი ყვება, რომ ძალიან ბევრჯერ მოუწია თავისი ამბის მოყოლა: *„ერთი ცხრაჯერ მომაყოლეს ალბათ დეტალურად ყველაფერი სხვადასხვა ადამიანებმა... პროცედურა არის ასეთიო".*

კიდევ ერთი რესპონდენტი მსხვერპლი ამბობს, რომ ერთი და იგივეს მოყოლა ემოციურად ძალიან გამომფიტავია, განსაკუთრებით – მაშინ, როცა გამოძიება წლები გრძელდება და რომ ამ ჩვენებების ჩანაწერი ისევ არ არსებობს და ხელახლა გამოკითხვაა აუცილებელი: *„ემოციურად ძალიან მფიტავს ხოლმე და შეიძლება, ერთი დღე [ლოგინიდან] ვერ ავდგე ხოლმე".*

კონფიდენციალობის დარღვევა

როდესაც მსხვერპლი მრავალ პოლიციელთან აზიარებს მისთვის მნიშვნელოვან პირად და მატრავმირებელ გამოცდილებას, დღის წესრიგში დგება, ასევე, კონფიდენციალობის დარღვევის პრობლემაც. კონფიდენციალობის პრობლემა უფრო მწვავედაც იჩენს თავს პოლიციაში. მაგალითად, ერთი ახალგაზრდა მსხვერპლი ქალი ყვება: *„იმ გამომძიებელმა ისეთი რაღაც გააკეთა, რაც არ უნდა გაეკეთებინა: ჩემი ჩვენება წააკითხა მამაჩემს... იყო რაღაცები, რაც მინდოდა, რომ არ გაეგო მამას. ამ საქმეში გამომძიებლის აცილება მოხდა მოგვიანებით და შეიცვალა გამომძიებელი".*

სტერეოტიპები პოლიციელებში

მსხვერპლებისათვის ერთ-ერთი ყველაზე მატრავმირებელი გამოცდილება გამოკითხვის დროს არის პოლიციელების მიერ გამოვლენილი უნდობლობა და სტერეოტიპული აზროვნება. არასრულწლოვანი დაზარალებული ყვება, რომ დალურჯებები ჰქონდა. პოლიციაში სთხოვეს, ეჩვენებინა. აჩვენა, პოლიციელმა უთხრა, ეს დალურჯება ხელით გაკეთებული არ იქნება, ჯოხი მაინც უნდა ჩაერტყაო.

მსხვერპლმა უპასუხა, რომ ჯოხი არ ჩაურტყამს, ხელებს მიჭერდაო, რაზეც პოლიციელმა უპასუხა, რომ არ სჯეროდა. *„მეუბნებოდა, შანსი არ არისო, ეს ვერ იქნება ეგრეო. ესე ვერაფერს ვერ დაამტკიცებო... ესე ხომ ვერ გავუშვებ ციხეში, არსაიდანო, შენი იმეების გამოო...“.*

ექსპერტთა თქმით, მთელი რიგი პრობლემები ფიქსირდება კითხვებთან დაკავშირებით, როგორც შინაარსობრივად, ისე – ფორმით. იურისტი ექსპერტის თქმით, პრაქტიკაში გვხვდება ისეთი დამადანაშაულებელი შეკითხვები, როგორიცაა გაუპატიურებისას “განიცადა თუ არა სიამოვნება მსხვერპლმა”. ზოგჯერ, პოლიციელები აქცენტს აკეთებენ მსხვერპლის გარეგნობაზე, მის ინსტაგრამ გვერდზე განთავსებულ ფოტოებზე. თუ ქალი იმყოფებოდა ნასვამ მდგომარეობაში, არაადეკვატურ კომენტარებს აკეთებენ ქალის აღქმის უნარზე. ექსპერტის თქმით, პოლიციის ასეთი დამოკიდებულება მსხვერპლზე ძალიან ნეგატიურ გავლენას ახდენს და ზოგჯერ, *“მას სურვილი აღარ აქვს, რომ ჩვენება მისცეს სასამართლოში”.*

მსხვერპლი რესპონდენტი ყვება, რომ განყოფილების უფროსმა რამდენჯერმე ჰკითხა, თუ რატომ არ მივიდა პოლიციაში დროულად. იგივე უთხრა გამომძიებელმაც, რომ ადრე უნდა მოსულიყავიო. ასევე, ჰკითხეს: *„რატო არავის დაურეკე, მეგობარი არ გყავსო?“* . სამმართველოს უფროსისაგან, ასევე, იხსენებენ ისეთ შეკითხვებს, როგორცაა: *„სად მიდიოდი, რას აკეთებდი, რა გეგონა?“* . რესპონდენტები აღნიშნავენ სამმართველოს უფროსებისაგან და მათი მოადგილეებისაგან ყვირილის და შეუსაბამო ტონით კომუნიკაციას, ერთ-ერთი მსხვერპლი რესპონდენტი იხსენებს ასეთ ფრაზასაც: *„ახლა შენი დრო არ მაქვს, ეს უნდა დაწერო, გინდა დაწერე, გინდა არა...“.*

მსხვერპლი რესპონდენტები ამბობენ, რომ მათ სურთ, პოლიციაში შესულებმა თავი დაცულად იგრძნონ, თუმცა, ამას საერთოდ ვერ უზრუნველყოფს პოლიციელთა დამოკიდებულება და ეს გამოიხატება არა მხოლოდ უსიამოვნო და სტერეოტიპული შეკითხვების დასმით, არამედ – არასასურველი ჟესტებით, მიმიკებით და უადგილო ხუმრობებით პოლიციელების მხრიდან.

მსხვერპლების ამ შეფასებებს იზიარებენ ექსპერტებიც. ერთ-ერთი იურისტი ექსპერტი აღნიშნავს, რომ პოლიციაში პრობლემაა სკეპტიკური დამოკიდებულება და არამეგობრული საუბარი უშუალოდ პოლიციის ხელმძღვანელის მხრიდან. მისი თქმით, სამმართველოს უფროსები და მოადგილეები ხშირად სვამენ ისეთ შეკითხვებს, თუ რატომ მიმართა პოლიციას მსხვერპლმა, ხოლო თუ მსხვერპლი რამდენიმე დღის, კვირის, წლის დაგვიანებით მიმართავს პოლიციას, ხელმძღვანელობისგან აუცილებლად ისმის კითხვა: *“სად იყავი აქამდე? აი, ხომ გესმის, ახლა უკვე მტკიცებულებები აღარ არსებობს და რა გინდა, ჩვენ ვქნათ?!”.*

გადაწყვეტილების ტვირთის მსხვერპლზე გადატანა

ერთ-ერთი მსხვერპლი იხსენებს, რომ ყველაზე ცუდი შეკითხვა, რაც მას პოლიციის განყოფილებაში დაუსვეს, იყო *„ამ ადამიანის დაჭერა გინდა თუ არა?“; „პოლიციაში არ მიხვალ, თუ ადამიანის დაკავება არ გინდა, ხო?“. ყველაზე ცუდია ის, რომ გეკითხებიან იმ მომენტში, დაკავება გინდა თუ არა, თან რომ მიდიხარ და ცდილობ, სარჩელი შეიტანო, აცნობო დანაშაულის შესახებ, თან მსხვერპლი ხარ...“.*

მეორე მსხვერპლიც იხსენებს მსგავს არასასიამოვნო გამოცდილებას: *„გადაგვამისამართეს გამომძიებელთან, რომელმაც ამიხსნა, რომ ესეთი და ესეთი პროცედურები არის და გინდა, ეს რთული გზა გაიაროთო? მე ვუთხარი, აბა რატომ მოვედი მეთქი თქვენთან?“.*

ჩვენების არაზუსტი ჩანაწერი

მსხვერპლები აღნიშნავენ, რომ მათი მონაყოლის ზუსტად ჩაწერა არ ხდება, ენა იცვლება და ხშირად აზრიც იკარგება. ერთ-ერთი მსხვერპლი აღნიშნავს: *„იმას არ წერენ, რასაც ეუბნები... და აზრი იცვლება ხოლმე და სათითაოდ უნდა ამოწმო ყოველი სიტყვა და ამაზე მქონდა ხოლმე მაშინვე პროტესტი, რომ იმას არ წერდნენ, რაც მინდოდა... მერე რომ კითხულობ, შენი სიტყვები არ არის... ამაზე ყველგან მქონდა პრობლემა, რომ გამომძიებლები არ მიწერდნენ იმას, რაც მინდოდა, ანუ ჩემი სიტყვებით დაწერე, რომ ვეუბნები, რაღაცა თავის სიტყვებით წერს და არ არის ის ჩემი სიტყვა და შეიძლება, აზრი იყოს დაკარგული“.*

მოუმზადებელი პოლიციელი

ფსიქოლოგი ექსპერტი ამბობს, რომ გამოკითხვა უნდა ჩაატაროს დატრენინგებულმა პოლიციელმა, რომელსაც აქვს ცოდნა იმის შესახებ, თუ რა განსხვავებაა მოძალადის და მსხვერპლის საუბარს შორის. *“აი, მაგალითად, მოძალადეს შეუძლია, ილაპარაკოს, ნეოკორტექსი აქვს აქტიური, მაგრამ როცა მსხვერპლი სცემს პასუხს, მაშინ აქტიურია მისი ლიმბური სისტემა, იმიტომ, რომ ეს არის ტრავმირებული ადამიანი, სადაც ემოციები არის წამყვანი და ამიტომ მისი ნარატივი, მისი თანმიმდევრობა მონაყოლის, ვერ იქნება ისეთი, როგორიც არის მოძალადის. ამისი არცოდნა ხშირად პოლიციელში იწვევს დაეჭვებას მსხვერპლის მონაყოლში, რადგან მსხვერპლის თხრობა, შესაძლოა, იყოს ბუნდოვანი და არათანმიმდევრული. გამომძიებელმა უნდა იცოდეს, როგორია ტრავმირებული ადამიანის მეხსიერება, უნდა იცოდეს, როგორ დასვას შეკითხვა და როგორ აიცილოს თავიდან ცრუ მოგონებების აქტივირება”.* – ამბობს ექსპერტი.

ფსიქოლოგი ექსპერტი ამბობს, რომ ძალიან მნიშვნელოვანია, ზოგიერთი უხერხული კითხვის დასმის წინ, გამომძიებელმა წინასწარ აუხსნას მსხვერპლს, თუ რატომ სვამს ამ კითხვას და რა მნიშვნელობა აქვს ამ ინფორმაციას გამოძიებისთვის. თუმცა, აქვე ამბობს, რომ პოლიციელებს აკლიათ ემპათია და ასეთ განმარტებებს გამოკითხვის დროს არ აკეთებენ.

იურისტი ექსპერტები მიიჩნევენ, რომ გამოკითხვასთან დაკავშირებული პრობლემის მოგვარების ერთ-ერთი გზა არის გამომძიებლებში სპეციალიზაციის არსებობა. მნიშვნელოვანია გამომძიებლების გადამზადება სექსუალური ძალადობის საქმეებზე. პრაქტიკოსი იურისტები აღნიშნავენ, რომ გამომძიებლები ხშირად არიან არასენსიტიურები, რადგან არ აქვთ სქესობრივ დანაშაულებზე მუშაობის გამოცდილება და არ იციან, როგორ წარმართონ ჩვენების მიცემა. თუ დანაშაულიდან დიდი ხანია გასული, ისინი პირდაპირ ამბობენ დაზარალებულთან, რომ მტკიცებულებები არ არსებობს და ხშირად, არაკომპეტენტური გამომძიებლები საერთოდ არ ატარებენ საჭირო საგამოძიებო მოქმედებებს.

ფსიქოლოგი ექსპერტი მიიჩნევს, რომ სექსუალური ძალადობის მსხვერპლების გამოკითხვა უნდა მიმდინარეობდეს ტრავმის შესახებ ინფორმირებული მიდგომების შესაბამისად და კარგი იქნება, თუ იარსებებს სპეციალური ცენტრი ასეთი დანაშაულებისათვის. იგი პარალელს ავლებს ბარნაჰუსის სახლთან. ის, ასევე, საუბრობს, რომ უნდა არსებობდეს გამოკითხვის პროტოკოლი და სახელმძღვანელო, სადაც დეტალურად იქნება გაწერილი, რა კითხვები როგორ უნდა დაისვას. ცალკე იქნება გამოყოფილი სახიფათო კითხვები, რომლებიც იწვევენ ტრავმატიზაციას. გამოკითხვებს უნდა ესწრებოდეს ფსიქოლოგი, რომელსაც ექნება უფლება, გააპროტესტოს არასწორად დასმული, დამაზიანებელი შეკითხვა.

ექსპერტების ამ შეფასებას იზიარებენ მსხვერპლებიც. ერთ-ერთი დაზარალებული გამოკითხვის პროცესს შემდეგნაირად ახასიათებს: *„[მსხვერპლთან მოპყრობის წესები] გააზრებულიც არ არის, არ არის რეალობას მორგებული, არ არის გაწერილი და არ არის ჩამოყალიბებული. საერთოდ წარმოდგენა არ აქვთ, როგორ უნდა ელაპარაკონ ძალადობის მსხვერპლს“.* აღნიშნულ მსხვერპლს მოგვიანებით შეეცვალა გამომძიებელი და დაენიშნა ქალი გამომძიებელი, რომელთანაც უკეთესი გამოცდილება ჰქონდა.

მსხვერპლის ინფორმირება საგამოძიებო მოქმედებების შესახებ

იურისტი ექსპერტები აღნიშნავენ, რომ მსხვერპლებს პოლიციაში ან საერთოდ არ უხსნიან საგამოძიებო მოქმედებების შინაარსს, ან ძალიან მწირ ინფორმაციას აწვდიან მათ. აღნიშნულს ადასტურებს არაერთი მსხვერპლის ინტერვიუ.

„იმ ღამით ექსპრომტად ვიგებდი, სად უნდა წავსულიყავი და რა უნდა გამეკეთებინა. ანუ წარმოდგენა არ მქონდა, რომ თავიდან, როცა პოლიციაში მივდიოდი, მთელი ღამე დასჭირდებოდა აი ამ რაღაცა პროცესების მოგვარებას. მეორე დღეც დასჭირდა. დაახლოებით ორი დღე მომიწია პოლიციაში გატარება და ამაზე ინფორმაცია ნამდვილად არ მქონდა“, – გვიამბობს ერთ–ერთი რესპონდენტი.

სხვა მსხვერპლი რესპონდენტიც არნიშნავს, რომ მისთვის დამაბნეველი იყო ის, რომ არ იცოდა, თუ რა ეტაპების გავლა ელოდა წინ. მსხვერპლები ამბობენ, რომ მათ უჩნდებათ შეკითხვები საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებით და ვერ საზღვრავენ, თუ რა მოლოდინები უნდა ჰქონდეთ, სისტემაში კი არავინაა, ვინც მათი ამ მდგომარეობის შემსუბუქებას ცდილობს. ისინი, ასევე, აღნიშნავენ, რომ ზოგიერთი საგამოძიებო ექსპერიმენტი მათთვის სრულიად გაუგებარია და არც ერთ ეტაპზე მათ არ უხსნიან ამ ექსპერიმენტის საჭიროებას ან მიმდინარეობის ეტაპებს.

ერთი მსხვერპლი აღნიშნავს, რომ ზოგადად, საქმის მიმდინარეობასაც მაშინ იგებდა, *„როცა ერთი რაღაცა პროცესი დასრულდებოდა“.*

იურისტი ექსპერტები საუბრობენ საგამოძიებო ექსპერიმენტის ჩატარების ფორმის პრობლემურობაზე. ერთ-ერთი ექსპერტი იხსენებს, რომ სექსუალური ძალადობის მსხვერპლი არასრულწლოვანი წაიყვანეს დანაშაულის ადგილას, *“სადაც მას უნდა დაწვრილებით მოეყოლა, სად რა მოხდა, რომელ ბუჩქთან, რომელ ხესთან და თითით ეჩვენებინა... და ამ პროცესში მას უღებენ ფოტოებს, თან უღებენ ფოტოებს ისე, რომ მსხვერპლი პოზირებს, ხელით აჩვენებს, რომ, აი, აქ მოხდა ეს...”.* ექსპერტი აღნიშნავს, რომ ბავშვი ამ დროს განიცდიდა უკიდურეს სტრესს, იყო მთლიანად აწითლებული სახეზე და მთელი ეს პროცესი იყო საშინელი სანახავი. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ მათთვის გაუგებარია, თუ საიდან მოდის ასეთი ინსტრუქცია ფოტოების გადაღებისა. ზოგი ექსპერტი თვლის, რომ ეს საბჭოთა გადმონაშთია და სინამდვილეში, დამამცირებელია მსხვერპლისათვის.

კვლევის მონაწილე ერთ-ერთი მსხვერპლი იხსენებს ადგილების დათვალიერების ექსპერიმენტს და ყვება იგივეს, რასაც ექსპერტები საუბრობენ: *„მივიდოდით იმ ლოკაციაზე და დავდგებოდი და ესე ხელი უნდა გამეშვირა და ფოტოს გადამიღებდნენ, ეგ რაღაცა საერთოდ არ უხსენებიათ. მაგის შესახებ არ ვიყავი ინფორმირებული“.* მსხვერპლების მონათხრობიდან ირკვევა, რომ ადგილის დათვალიერებას მოყვება შეკითხვები გარე პირებისაგან, რადგან შემსწრე ადამიანები ვერ ხვდებიან, თუ რას უყურებენ. სამწუხაროდ, კერძო ობიექტის დათვალიერებისას, პოლიციელმა სექსუალური ძალადობის შესახებ აცნობა ობიექტის მენეჯერს და საქმე იქამდე მივიდა, რომ ამგვარად გაზიარებულმა ინფორმაციამ მსხვერპლის დასაქმების ადგილამდე მიაღწია. ეს ეპიზოდი ძალზე შემაშფოთებელია, ვინაიდან აჩვენებს საგამოძიებო ექსპერიმენტების ჩატარების ხარვეზს და კონფიდენციალობის დარღვევის პრობლემას. საბოლოო ჯამში, ეს მსხვერპლი ნანობს, რომ მიმართა პოლიციას.

ერთ-ერთი დაზარალებული, რომლის საქმეშიც მოძალადე იყო გავლენიანი ფიგურა, ყვება, რომ საგამოძიებო ექსპერიმენტი ძალიან შეყოვნდა და დროში გადაიდო, რადგან პოლიციელებმა დაიწყეს რეკვა ხელმძღვანელ პირებთან, ადგილზე გამოცხადდა პოლიციის განყოფილების უფროსიც. დრო იმდენად გაჭიანურდა, რომ

მოძალადემ, შეიტყო რა, რომ პოლიცია აპირებდა მისვლას, აალაგა დანაშაულის ადგილი და ნაწილობრივ გააქრო დანაშაულის კვალი. იმავე საქმეში, მსხვერპლი ამბობს, რომ *„გამოძიება არაფერს არ აკეთებდა და 6 დღის მერე ამოიღეს თუნდაც მისი პერანგი“.* საბოლოო ჯამში, ამ საქმეში მსხვერპლი მიიჩნევს, რომ გამოძიება არ ჩატარდა ისე, როგორც უნდა ჩატარებულიყო და საქმეზეც გამამართლებელი განაჩენი დადგა.

ექსპერტიზა

ექსპერტიზის საკითხებში გამოიკვეთა ძალიან სერიოზული გამოწვევები. საქართველოში პრაქტიკულად არ არსებობს მტკიცებულებებზე დაფუძნებული და თანამედროვე სტანდარტები, ექსპერტები საჭიროებენ გადამზადებას, მათ შორის იმ საკითხშიც, თუ როგორ უნდა მოეპყრან მსხვერპლს. ცალკე პრობლემაა ექსპერტიზაზე ხელმისწვდომობა, როგორც გეოგრაფიული, ისე – დროითი თვალსაზრისით.

სტანდარტების არარსებობა

როგორც იურისტი, ასევე ფსიქოლოგი ექსპერტები უკიდურესად აკრიტიკებენ სამედიცინო, ფსიქიატრიულ, ფსიქოლოგიურ ექსპერტიზებს. ისინი ამბობენ, რომ არ არსებობს სათანადო სტანდარტები და რეგულაციები, თუ როგორ უნდა ჩატარდეს ეს ექსპერტიზები. იურისტი ექსპერტი აღნიშნავს, რომ ხშირად, ექსპერტიზა ტარდება არა ტრავმის ან ზიანის გამოსავლენად, არამედ იმის დასადგენად, მოხდა თუ არა გაუპატიურება, რაც მცდარი დამოკიდებულებაა ექსპერტიზის მიმართ.

იურისტი ექსპერტები ამბობენ, რომ არასწორად ჩატარებული სამედიცინო ექსპერტიზა ხშირად ძალიან მატრავმირებელია. ერთ-ერთი იურისტის ციტატა: *“მსხვერპლი მიუთითებდა, რომ სამედიცინო ექსპერტიზის შემდეგ, დარჩა შეგრძნება, რომ ხელმეორედ გააუპატიურეს”.* ექსპერტიზის მატრავმირებელ ხასიათს ფსიქოლოგი ექსპერტებიც ადასტურებენ: *“ქალებს ძალიან უხეშად ექცევიან და გამოდიან აბსოლუტური დანაშაულის განცდით და შერცხვენილ მდგომარეობაში და ამბობენ, რომ იქ მეტად არ უნდა მივიდნენ”.*

ერთ-ერთი ფსიქოლოგი იხსენებს მსხვერპლი ბავშვის მონაყოლს ექსპერტის შესახებ: *“აი, დუნდულებზე ისე მომარტყა ხელი, რაღაცა აგდებული დამოკიდებულება ჰქონდა...”.* ფსიქოლოგები მიიჩნევენ, რომ ექსპერტებს არ აქვთ ემპათიურობა.

ასევე, ერთ-ერთი პრაქტიკოსი იურისტი აღნიშნავს, რომ ზოგჯერ გამოძიება მაშინაც ითხოვს სამედიცინო ექსპერტიზას, როდესაც დანაშაული თვეების ან წლების წინ მოხდა და რეალურად, არანაირი ინფორმაციის მოცემა არ შეუძლია. ასეთ დროს, თუ

დაზარალებულებს ადვოკატი ჰყავს, ის ეწინააღმდეგება არაფრისმომცემი, ზედმეტი ექსპერტიზის ჩატარებას. ეს, ერთი მხრივ, გამომძიებლის პრობლემაა, მეორე მხრივ კი – სტანდარტების არარსებობის.

ფსიქოლოგიური ექსპერტიზის გამოწვევები

ფსიქოლოგები თანხმდებიან, რომ დღეს საქართველოში არსებული ფსიქოლოგიური ექსპერტიზა ტარდება სრულიად მიუღებელი ფორმით და არაპროფესიულად. ერთ-ერთი ფსიქოლოგი ექსპერტი ამბობს, რომ ექსპერტიზის ბიურო დღემდე ე. წ. ლუშერის ტესტს იყენებს, რომელსაც არც ერთი ხარისხიანი და სახელმწიფო ექსპერტიზა არ იყენებს. *"აბსოლუტურად არაფერში არ წერია 15-20 წუთი გამოკითხვა და მერე ქალები გულის კანკალით ელოდებიან დასკვნას. ეს დასკვნები ძალიან ტენდენციურია",* – ამბობს ერთ-ერთი ფსიქოლოგი ექსპერტი. ამასთან, ფსიქოლოგები საუბრობენ, რომ რეალურ ფსიქოლოგიურ ექსპერტიზას სჭირდება რამდენიმე შეხვედრა მსხვერპლთან, ჯამში მინიმუმ 7-8 საათი. მსხვერპლის წინარე ისტორიის გარკვევა და იმის დადგენა, თუ რა გავლენა იქონია და რა ცვლილებები გამოიწვია სექსუალურმა ძალადობამ, რა სიმპტომებით არის წარმოდგენილი და რამდენად შესატყვისია გადატანილთან – ეს ყველაფერი გარკვეული კრიტერუმებით უნდა დგინდებოდეს. ასეთ შემთხვევაში, ფსიქოლოგის დასკვნას ექნება არა მხოლოდ წონა, არამედ, რიგ შემთხვევაში, ფსიქოლოგმა შეიძლება, გამოავლინოს ახალი მტკიცებულებები საქმეში. ამასთან, ფსიქოლოგები ამბობენ, რომ ფსიქოლოგიურმა დასკვნამ ასევე უნდა შეაფასოს მსხვერპლის მედეგობა, რადგან ყველას არ უვითარდება პოსტტრავმული სტრესული აშლილობა.

ექსპერტების წუხილებს მსხვერპლებიც ადასტურებენ. ერთ-ერთი მსხვერპლი ქალი იხსენებს მძიმე გამოცდილებას ფსიქოლოგიურ ექსპერტიზაზე. ის ამბობს, რომ ექსპერტთან გასაუბრებისას, ექსპერტმა უთხრა: *„მე რასაც ვიტყვიო, იმაზე არ შემეწინააღმდეგოო და ხმა არ ამოიღოო და მაშინვე მივხვდი, რომ რაღაც ცუდი უნდა ეთქვა",* - ამბობს მსხვერპლი. ის დასძენს, რომ დიდი ხანი დასჭირდა იმ სიტყვების დასავიწყებლად, რაც ექსპერტისაგან მოისმინა, თუმცა, ახსოვს, რომ გაუპატიურების ფაქტს ექსპერტი მსხვერპლს აბრალებდა.

17 წლის მსხვერპლი, რომელსაც ფსიქოლოგიური ექსპერტიზა ჩაუტარდა და ტანჯვა არ დაუფიქსირდა, ძალიან ცუდად იხსენებს უშუალოდ ექსპერტიზის მიმდინარეობას: *„ვზივარ და რაღაცებს ვყვები და მეუბნებიან, რომ შენზე ფსიქოლოგიურად არავის უძალადია. რომელ ფსიქოლოგს და ფსიქიატრს უნდა ვენდო? ფსიქოლოგიური ექსპერტიზა იმდენს რომ ვერ ხვდება, რომ თავი ხელში გყავს აყვანილი და მაგიტომ არ იკლავ თავს, მაგიტომ არ ჩავარდი დეპრესიაში და მაგიტომ არ დაკარგე ცხოვრების მოტივი, რომ ანუ რეალურად „რისფონსიბილითი" გაქვს ცხოვრებაში და არა უბრლაოდ, რომ ეგრე გინდა...".*

ფსიქოლოგიურ ექსპერტიზასთან დაკავშირებით, ერთ-ერთი ფსიქოლოგი ექსპერტი აღნიშნავს, რომ *“მთლიანად გადასახედია, დასაშლელია და საჭიროა აბსოლუტურად ახალი კადრების შემოყვანა”.*

ხელმისაწვდომობა

ერთ-ერთი იურისტი აღნიშნავს, რომ პრობლემაა, როცა სამედიცინო ექსპერტიზა არ ტარდება არასამუშაო დღეებსა და საათებში. ასეთ შემთხვევებში, დაზარალებული და მისი ადვოკატი იძულებულნი არიან, გამოიძახონ გადაუდებელი სასწრაფო დახმარება და სასწრაფო დახმარების ექიმს შეადგენინონ შესაბამისი დოკუმენტი, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც დანაშაული ახალი ჩადენილია და დაზარალებულის სხეულზე, შესაძლოა, არსებობდეს დამნაშავის ბიოლოგიური მასალა. ცალკე პრობლემაა ის, რომ ასეთი სამედიცინო საბუთების არსებობის შემთხვევაშიც კი, დაზარალებულს ხელახლა უტარებენ სამედიცინო ექსპერტიზას ერთ ან რამდენიმე დღეში. ნებისმიერი ასეთი დუბლირება არ შედის დაზარალებულის ინტერესებში.

ცალკე პრობლემაა ის, რომ სამედიცინო ექსპერტიზა რეგიონში არ ტარდება და ყველას თბილისში უწევს წამოსვლა. სამწუხაროდ, ისევ შემორჩენილია საქალწულე აპკის შემოწმება იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც მსხვერპლი, განსაკუთრებით არასრულწლოვანი, გარყვნილ ქმედებაზე საუბრობს.

პროკურატურა

მაღალი მტკიცების ტვირთი

ერთ-ერთი ექსპერტი იურისტის აზრით, პროკურატურის მთავარი გამოწვევა არის ის, რომ საქმეს უდგებიან წინასწარგანწყობებით და მტკიცებულებების წარმოდგენის ტვირთი მთლიანად დაზარალებულზე გადააქვთ. გარდა ამისა, მისივე თქმით, სექსუალური ძალადობის საქმეებში პროკურორები ითხოვენ ძალიან ბევრი მტკიცებულების არსებობას და ერიდებიან სასამართლოში ისეთი საქმეების წაღებას, სადაც, შესაძლოა, გამამტყუნებელი განაჩენი არ დადგეს, მტკიცებულებების მწირი/არასაკმარისი რაოდენობის გამო.

ეს დამოკიდებულება მსხვერპლებთან ურთიერთობებშიც ვლინდება. 17 წლის დაზარალებული ყვება, რომ პროკურორი ძალიან მკაცრად ელაპარაკებოდა. მან უთხრა, რომ „არ გაქვს საკმარისი სამხილები.“ გოგონა ყვება, რომ ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, თითქოს პროკურორი მოძალადის მხარეს იჭერდა. გოგონა იმდენად იმედგაცრუებულია, ამბობს, რომ არასდროს აღარავის უჩივლებს, რადგან პროკურატურის იმედი დაკარგა.

მსხვერპლთან კომუნიკაციის პრობლემა

სასამართლო სხდომამდე, მსხვერპლებს შედარებით შეზღუდული კომუნიკაცია აქვთ პროკურორებთან და ნაწილი ნეგატიურად იხსენებს ამ კომუნიკაციას. ერთ-ერთი იურისტი ექსპერტის თქმით, პროკურორები მხოლოდ მაშინ ეკონტაქტებიან მსხვერპლს, თუ მისი მოწმის სახით დაკითხვა არის საჭირო სასამართლოში, ან თუ მსხვერპლი უარს ამბობს მართლმსაჯულების პროცესში მონაწილეობაზე. სხვა შემთხვევებში, პროკურორი პრაქტიკულად არ ინტერესდება მსხვერპლით. ამას ადასტურებენ სხვა იურისტი ექსპერტებიც. ერთ-ერთი იურისტი ექსპერტი ამბობს, რომ ისიც კი არ იცის პროკურორმა ხშირად, რომ დაზარალებული ქვეყანაში აღარ იმყოფება და საცხოვრებლად სხვა ქვეყანაში გადავიდა.

არასრულწლოვანი დაზარალებული გოგონების დედა ამბობს, რომ პროკურორს საერთოდ არ შეხვედრია, ინფორმაციას ადვოკატისგან იღებდა. საქმეზე გამამტყუნებელი განაჩენია დამდგარი.

ერთ-ერთი მსხვერპლი იხსენებს პროკურორთან შეხვედრას და აღნიშნავს, რომ პროკურატურაში არის *„რაღაცნაირი სიმკაცრე,“ „ცუდი აურა, ძალიან საბიზღარი, სადაც მაქსიმალურად ცდილობენ, რომ დაგაბნიონ“.* მსხვერპლი ამბობს: *„ყველანაირად [პროკურორი] ცდილობდა მაინც, რომ თუ ვიტყუებოდი, ასე რომ ვთქვათ, გამოვეტეხე ტყუილში... ესეთ ფაქტს რანაირად მოიტყუები ადამიანი, არ ვიცი...“.* მსხვერპლი ასევე იხსენებს ერთ კომენტარს, რომელიც პროკურორმა გააკეთა: *„თუ სიმართლეს არ ამბობ, ეს ხომ იცი, გამჟღავნდებაო“,* რაზეც მსხვერპლმა უპასუხა, რომ სიმართლეს ამბობდა და ასეთ საკითხზე მოტყუება არაფერში სჭირდებოდა.

ზოგიერთ მსხვერპლს პროკურორთან ურთიერთობის განსაკუთრებულად ცუდი გამოცდილება აქვს. ერთ-ერთი მათგანი გვიამბობს: *„პროკურორთან საუბარი, აი, არ ვიცი, ეს იყო ჩემი მეორე ჯოჯოხეთი...“.* მსხვერპლი ყვება, რომ დასჯილი ბავშვივით დასვეს და ბევრი გაუგებარი და პრობლემური შეკითხვა დაუსვეს. ეკითხებოდნენ, ტელეფონი საკმაოდ ახლოს იდო თუ არა გაუპატიურებისას. ასევე ჰკითხეს შემდეგი: *„ამ დროს რატო არავისთან მიწერა არ სცადე? რატომ არ გამოიქეცი იქიდან?“.* გარდა ამისა, მსხვერპლს პროკურორი ეკითხებოდა მოძალადის სასქესო ორგანოების ზომებს და მოსთხოვა მას, ხელით ეჩვენებინა ზომა. მსხვერპლი ყვება, რომ ამ შეკითხვის მერე, პრაქტიკულად ვეღარ გაგრძელდა გამოკითხვა და საუბარი პროკურორმა შემდეგი კომენტარით დაასრულა: *„აი, ახლა მითხარი, მე როგორ დავიჭირო ეს ადამიანი?“.* მსხვერპლი ამბობს, რომ ვერ გაიგო, ეს შეკითხვა რიტორიკული იყო, თუ მართლა ეკითხებოდნენ. ბოლოს, პროკურორმა უთხრა, რომ საქმე არ გაგრძელდებოდა. მსხვერპლი იხსენებს იმ შეგრძნებებსაც, რაც ამ გამოკითხვის შემდეგ დაატყდა თავს: *„პროკურატურაში მეშვიდე სართულზე ვიყავით, იქიდან საერთოდ როგორ ჩამოვედი, არ მახსოვს, ისეთი განადგურებული წამოვედი. აი, ეს იყო*

ჩემ ტრაგედიაზე კიდე ზევიდან ტრაგედიის დამატება“. მსხვერპლმა იმედი დაკარგა, რომ მისი საქმე სასამართლომდე მიაღწევდა და ადვოკატის ძებნას არასამთავრობო ორგანიზაციებში შეუდგა.

ერთ-ერთი მსხვერპლი, რომლის საქმე სასამართლოშია, ამბობს, რომ პროკურატურაზე კარგი წარმოდგენა არ ჰქონდა და ეს გამართლდა. როდესაც ის ითხოვდა საქმის მასალებს, არასრულად აწვდიდნენ ხოლმე მას. ის ამბობს, რომ ბევრჯერ მოუწია საქმის მასალების გამოთხოვა: *„არასრულად მაწვდიდნენ, მერე დაბრალება, რაღაც ასე, ბავშვებივით იყო ხოლმე, ბავშვები რომ აბრალებენ ერთმანეთს, ანუ გამომძიებლის ბრალია, პროკურორმა არ მითხრა... და ვფიქრობ, რომ პროკურორი ირიდებდა თავს რაღაც პასუხისმგებლობას, მე რა ვიცი, გამომძიებელი რას გაწვდის და ა.შ.... პროკურორს დავურეკავდი – დაურეკე გამომძიებელსო, თუ გამომძიებელს დავურეკავდი, მე რა ვიცი, დაურეკე პროკურორსო და რაღაცნაირი გაურკვეველი სიტუაცია იყო“.* მსხვერპლი ამბობს, რომ პროკურორთან კონტაქტი კი არა, მონოლოგი აქვს.

იურისტი ექსპერტი აღნიშნავს, რომ პროკურატურასთან ურთიერთობა კიდევ უფრო უჭირთ იმ ქალებს, რომლებსაც აქვთ შეზღუდული შესაძლებლობა ან ფსიქოსოციალური საჭიროებები. ამ შემთხვევაში, მსხვერპლები აწყდებიან კომუნიკაციის, შეტყობინების პრობლემას. ასეთი მსხვერპლების მიმართ განსაკუთრებული სტერეოტიპები იჩენს ხოლმე თავს, რომ ისინი თითქოს ვერ დაექვემდებარებოდნენ სქესობრივ ძალადობას, რადგან „არამიმზიდველები არიან“, ან რომ „ჰიპერსექსუალურები არიან“, თავად ითხოვენ სქესობრივ კონტაქტს და მათი გაუპატიურება შეუძლებელია.

სპეციალიზაციის პრობლემა

იურისტი ექსპერტები ამბობენ, რომ როდესაც პროკურორი არ არის სპეციალიზებული უშუალოდ სქესობრივ დანაშაულებზე, მას უჭირს პროცესის მართვა, განსაკუთრებით სასამართლოში, როდესაც მსხვერპლი იკითხება, ვინაიდან ვერ ახერხებს, განარიდოს მატრავმირებელი და შეურაცხმყოფელი შეკითხვები მსხვერპლის წინააღმდეგ. მაგალითისთვის, ექსპერტს მოჰყავს ისეთი შემთხვევები, როდესაც პროკურატურა არ არიდებს მსხვერპლის ფსიქლოგიურ მდგომარეობასთან ან ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ შეკითხვებს.

ექსპერტი იურისტი აღნიშნავს, რომ პროკურორებს სინამდვილეში აქვთ უნარი და შესაძლებლობა, კარგად მოამზადონ მსხვერპლი სასამართლოში გამოკითხვისთვის, მაგრამ დაბალი მგრძნობელობის გამო, პროკურორები ხშირად ვერ აცნობიერებენ, თუ რა ტრავმას აყენებს მსხვერპლს დაცვის მხრიდან შეურაცხმყოფელი და მტრული კითხვები. სწორედ ამიტომ არ იცილებს პროკურორი ასეთ კითხვებს პროცესის დროს.

სექსუალური დანაშაულების საქმეებში ძალიან მნიშვნელოვანია გამოცდილება. ახალი თანამშრომელი შეიძლება, იყოს მოტივირებული, მაგრამ აკლია ცოდნა. ასეთ დროს, ექსპერტი იურისტი მიიჩნევს, რომ საქმეს ასევე მიმაგრებული უნდა ჰყავდეს ძლიერი, გამოცდილების მქონე ადამიანიც, რომელიც ახალ კადრს მისცემს მითითებებს და ასწავლის.

ერთ-ერთ საქმეში, სადაც სასამართლომდე ჯერ საქმე არ მისულა, არასრულწლოვანი მსხვერპლის დედა ამბობს: *„მე ახლა იურისტი არ ვარ და შეიძლება, არ ვარ კომპეტენტური, მაგრამ მე არ უნდა ვარკვევდე, ჩემ შვილს რა სჭირდება, რა ექსპერტიზა, ამას უნდა არკვევდეს პროკურორი და უნდა გვირეკავდეს“.*

ასევე, აქაც იკვეთება გავლენიანი მოძალადის პრობლემა. ერთ-ერთი დაზარალებული, რომლის საქმეშიც მოძალადე გავლენიანი პირი ფიგურირებს, ამბობს, რომ რჩება შთაბეჭდილება, რომ პროკურორს *„ზემოდან რასაც ავალებდნენ, იმას აკეთებდა, ეს ცალსახად ფაქტია“.*

უშუალოდ პროცესის მიმდინარეობისას, სასამართლოში მსხვერპლი კმაყოფილი დარჩა პროკურორის ქცევით და შთაბეჭდილება შეექმნა, რომ სასამართლოში პროკურორი მის ინტერესებს კარგად იცავდა.

დაზარალებულად ცნობა

პრობლემად დაფიქსირდა, ასევე, დაზარალებულად ცნობის სტანდარტი. ერთ-ერთი ექსპერტის თქმით, დაზარალებულად ცნობას სჭირდება ყველაზე დაბალი სტანდარტი: დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი, თუმცა, პრაქტიკა არაერთგვაროვანია; ხშირად, დაზარალებულის სტატუსს მაშინ აძლევენ მსხვერპლს, როცა პროკურატურა მზად არის, ბრალი წარუდგინოს მოძალადეს. თუმცა, შესაძლებელია, გყავდეს დაზარალებული და სამართლებრივი დევნა ჯერ არ გქონდეს დაწყებული. ერთ-ერთი ექსპერტი იურისტი ამბობს, რომ შესაძლოა, დაზარალებულის სტატუსი მოგანიჭონ, მაგრამ არ გადმოგცენ გამოძიების მასალები. ამ შემთხვევაში, სტატუსის მინიჭება მხოლოდ ფორმალობაა.

არასრულწლოვანი მსხვერპლის დედა ამბობს, რომ დაზარალებულის სტატუსის მინიჭებას ერთი წელი დასჭირდა და მიიჩნევს, რომ გამოძიება ძალიან გაიწელა: *„ეს ვადა აბსოლუტურად არაგონივრულად მიმაჩნია, ერთი წელი არის ძალიან დიდი დრო... ვფიქრობ, რომ ასეთ დანაშაულზე უნდა ხდებოდეს უკიდურესად სწრაფი რეაგირება“.* გარდა ამისა, მას მიაჩნია, რომ გამოძიებას არ სჯეროდა მისი და მისი შვილის, ვინაიდან დაზარალებულის სტატუსის მინიჭება მოხდა მხოლოდ ფსიქოლოგის დასკვნის საფუძველზე, რომელთანაც ბავშვი გადიოდა კურსს.

ერთ-ერთი მსხვერპლი ამბობს, რომ მიუხედავად იმისა, რომ 2 წელი გავიდა, ბრალი ჯერ კიდევ წაყენებული არ არის და ამის შესახებ იწერება, მაგრამ პასუხს ვერ იღებს პროკურატურიდან. ამ საქმეში ის იხსენებს, რომ პროკურორმა შესთავაზა ექსპერტიზის დანიშვნა დანაშაულიდან ერთი წლის თავზე. დაზარალებული ამ შემოთავაზებას „სულელურად“ მიიჩნევს. მისი აზრით, პროკურატურამ უბრალოდ თაროზე შემოდო საქმე და არაფერს აკეთებს.

დაზარალებულების უმეტესობა ფიქრობს, რომ დაზარალებულის სტატუსის მინიჭება გვიანდება. ერთ-ერთი მსხვერპლის აზრით, მისთვის დაზარალებულის სტატუსის რამდენიმე თვით დაგვიანებით მინიჭება პროკურორი ბრალი იყო.

კოორდინატორი

ექსპერტები მიიჩნევენ, რომ საქართველოში კოორდინატორის ინსტიტუტი თავის როლს და დანიშნულებას ვერ ასრულებს. ერთ-ერთი პრაქტიკოსი იურისტი აღნიშნავს, რომ კოორდინატორი თავიდანვე უნდა იყოს ჩართული საქმეში და პირველად გამოკითხვასაც უნდა ესწრებოდეს, უნდა სთავაზობდეს მსხვერპლს სხვადასხვა სერვისებს, ამისამართებდეს ფსიქოლოგთან, თუ საჭიროა, თავშესაფარში, და ამზადებდეს მას სასამართლოში ჩვენების მისაცემად, თუმცა, ყველა თანხმდება, რომ ამ ეტაპზე კოორდინატორის ჩართულობა არის მხოლოდ ფორმალური.

უფრო მეტიც: ერთ-ერთი იურისტი ექსპერტი ამბობს, რომ ხშირად, არათუ კოორდინატორის, არამედ სახელმწიფოს მიერ დანიშნული ფსიქოლოგი და სოციალური მუშაკიც კი მხოლოდ ფორმალურად მონაწილეობენ გამოკითხვის პროცესში და არანაირი წვლილი არ შეაქვთ მსხვერპლის ინტერესების დაცვაში: *„ფსიქოლოგი და სოცმუშაკი ხშირად იქ სხედან სრულებით, ყოველგვარი ჩარევის გარეშე, ესწრებიან და უსმენენ... თუ გამომძიებელი დაუსვამს ისეთ კითხვას მსხვერპლს, რომელიც მისთვის მატრავმირებელია, ალბათობა, რომ ფსიქოლოგი ეტყვის, რომ შეცვალოს კითხვის ფორმულირება, არის ძალიან დაბალი“.*

ერთ-ერთი ფსიქოლოგი ექსპერტიც აღნიშნავს, რომ თუ კოორდინატორის კომუნიკაცია მსხვერპლთან მხოლოდ ფორმალური ხასიათისაა, ის ნეგატიურად აისახება დაზარალებულზე.

ერთ-ერთი მსხვერპლი აღნიშნავს, რომ როდესაც გამომძიებელმა მას პროკურატურის კოორდინატორზე ესაუბრა, შთაბეჭდილება შეექმნა, რომ კოორდინატორი გვერდში დაუდგებოდა, როგორც ემოციურად, ისე – საქმეში, თუმცა, კოორდინატორი მხოლოდ ორჯერ ესაუბრა და ინფორმაცია მხოლოდ იმაზე მიაწოდა, თუ როდის უნდა მისულიყო პროკურატურაში. მისი თქმით, კოორდინატორმა მას იმედები გაუცრუა: *„მე ვიცოდი, რომ ეს ადამიანი პროკურატურაში ჩემ გვერდით უნდა მჯდარიყო და ჩემი ინტერესები*

უნდა დაეცვა პროკურორთან, ვიდრე პროკურორის გვერდით მჯდარიყო და ჩემკენ რაღაცა, აი, სევდიანი, სენტიმენტალური სახით გამოეხედა მხოლოდ და მეტი არაფერი".

იურისტი ექსპერტი ამბობს, რომ კოორდინატორის მოქმედი ინსტიტუციით, *„ცდილობენ, პროკურატურის და გამომძიებლის ხარვეზების შევსების ილუზია შექმნან".* ამასთან, ის აღნიშნავს, რომ სისტემის გაუარესებასთან ერთად, კოორდინატორის პოზიცია სულ უფრო კარგავს თავის მნიშვნელობას და აზრს.

ექსპერტებმა არ იციან, აქვთ თუ არა დეტალურად გაწერილი უფლებები და ვალდებულებები კოორდინატორებს. ისინი ამბობენ, რომ თუ ინსტრუქციები არ არის გაწერილი, უნდა გაიწეროს, და თუ გაწერილია, უნდა ინახოს და დაიხვეწოს.

კვლევაში მონაწილე სექსუალური ძალადობის მსხვერპლ ზოგიერთ რესპონდენტს კოორდინატორი საერთოდ არ ჰყოლია.

სასამართლო

ზოგადად, მართლმსაჯულების სისტემაზე საუბრისას, მსხვერპლები მართლმსაჯულების პროცესში მონაწილე ადამიანების შესახებ იხსენებენ როგორც კარგ, ისე ცუდ გამოცდილებებს. ერთ-ერთი დაზარალებული ამბობს: *„თანამშრომელთა 50% გიყურებს რაღაცნაირად, ანუ ცუდი დამოკიდებულებით, თითქოს შენი არ სჯერათ. აი, ყველაფერში თითქოს ქალი არის დამნაშავე. დანარჩენია 50%, ვისაც მთელი გულით უნდა, რომ დაზარალებულის ტკივილი გაიზიაროს და მართლა დაეხმაროს, აი, მართლა თავის საქმის პროფესიონალები ვინც არიან".*

ექსპერტი იურისტების აზრით, სასამართლოს მთავარი გამოწვევა არის გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტის არასწორი ინტერპრეტაცია, რის გამოც, ხშირად დგება გამამართლებელი განაჩენი. *„სასამართლო გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტს განმარტავს იმგვარად, რომ თითქოს საჭიროა ორი პირდაპირი მტკიცებულების მოთხოვნა. ეს არის ძირეული პრობლემა, განსაკუთრებით – გაუპატიურების საქმეებზე".*

ერთ-ერთი ექსპერტი ფსიქოლოგის აზრით, გაჭიანურებული სასამართლო პროცესები მსხვერპლის ტრავმას ახანგრძლივებს. ერთ-ერთი ახალგაზრდა ქალი, რომლის საქმეც წელიწადზე მეტია, გამოძიების ეტაპზეა, ამბობს, რომ თავიდან ინტერესი დიდი ჰქონდა, მაგრამ იმედები გაუცრუვდა და ერთ დღეს მიხვდა, რომ აღარ აინტერესებს ამ საქმის ბედი: *„იმიტომ, რომ მახსოვს, როგორც ვიყავი მაგ პროცესის გავლის დროს და აღარ მინდა. ამ პროცესმა დანაშაულზე ნაკლებად არ დამაზიანა".*

სასამართლოზე სიარულისაგან სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ქალები მასიურად თავს იკავებენ. მათ არ აქვთ სურვილი, შეხვდნენ ბრალდებულს და მის მხარდამჭერებს. ზოგიერთს აქვს სურვილი, რომ ყველა პროცესს დაესწროს, თუმცა, გრძნობენ, რომ ამას ძალიან დიდი რესურსი და გამძლეობა სჭირდება, რომელიც მათ არ აქვთ. მსხვერპლები ამბობენ, რომ მათთვის ძალიან მნიშვნელოვანია მოსამართლის კეთილგანწყობა და ემპათია.

ფსიქოლოგი ექსპერტები საუბრობენ, რომ მსხვერპლები ძალიან მგრძნობიარეები არიან და მათ ვერ გამოაპარებ პროცესში მონაწილეების მიმიკებს, გადალაპარაკებას, გაცინებას.

კარგი პრაქტიკა

დაზარალებულები ძალიან პოზიტიურად აფასებენ იმ მოსამართლეებს, რომლებიც „პირადი, შეურაცხმყოფელი ან განმეორებითი“ კითხვების დასმის საშუალებას არ აძლევენ დაცვას. ასევე, დაზარალებულები ყურადღებას აქცევენ სასამართლო მდივანის რეაქციებსაც და მათგანაც ელიან ემპათიას.

მსხვერპლები დადებითად იხსენიებენ ისეთ ფაქტებს, როდესაც მოსამართლე ცდილობს, კომფორტული გარემო შეუქმნას დაზარალებულს და როცა აცხადებს შესვენებას, როდესაც ხედავს, რომ დაზარალებული შეუძლოდ გახდა.

ერთ-ერთი ფსიქოლოგი ექსპერტი იხსენებს კარგ მოსამართლეებს და კარგ პრაქტიკებს. ის ამბობს, რომ ერთმა მოსამართლემ მას მოსთხოვა, სამედიცინო მტკიცებულებების დონეზე აღეწერა „შათ დაუნის“ რეაქცია და შემდგომ თავის გადაწყვეტილებაში ეს დოკუმენტი გამოიყენა. ასევე, ის იხსენებს შემთხვევას, როდესაც სუიციდიანტის დაკითხვის დროს, მოსამართლემ გამოკითხვა შეაჩერა და გადადო, რადგან მიიჩნია, რომ მსხვერპლისთვის ასე იყო საჭირო.

მიკერძოება

როგორც ფსიქოლოგი, ასევე იურისტი ექსპერტები აღნიშნავენ, რომ სასამართლოში მოსამართლის დამოკიდებულებაზე გავლენას ახდენს ბრალდებული პირის ცნობადობა და სოციალური გავლენები. ფსიქოლოგი ექსპერტი იხსენებს ერთ შემთხვევას, სადაც გავლენიან ბრალდებულს სასამართლოში მიყვანილი ჰყავდა ცნობილი სახეები, რომლებიც აქებდნენ ბრალდებულს და მოსამართლე ძალიან ღიად იჩენდა სიმპათიას ბრალდებულის მიმართ: *„სხვა გზა არ ჰქონდა, თორე, დარწმუნებული ვარ, შეიძლება, გაეთავისუფლებინა“.* აქვე, ფსიქოლოგი ექსპერტი აღნიშნავს სისტემის პრობლემურობას და მოსამართლეებზე და პროკურორებზე ზეწოლის საკითხს იმ შემთხვევებში, როდესაც ბრალდებული გავლენიანი ადამიანია, ან „ჰყავს ვიღაცა პატრონი“: *„ერთი და იგივე მოსამართლე და ერთი და იგივე პროკურორი, იმის მიხედვით, როგორია კონტექსტი, შეიძლება, ნახო როგორც კარგი*

სპეციალისტის როლში, ასევე - სასტიკის“. ერთ-ერთი მსხვერპლი, რომლის საქმეშიც ბრალდებული გავლენიანი პირი იყო, ამბობს: *„დარწმუნებული ვარ, როგორც პროკურორის ნაწილში ვთქვი, რომ მასაც ზემოდან მისცეს ბრძანება ამის. ვერაფერს ვერ დავამატებ სხვას იმიტომ, რომ მე ნამდვილად არ ველოდი, მით უმეტეს ამდენი მტკიცებულებების ფონზე, რომ ასე წარიმართებოდა ჩემი სასამართლო“.*

ექსპერტი იურისტები, ასევე, საუბრობენ მოსამართლეების მიკერძოებაზე, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ბრალდებული აქცენტს აკეთებს მსხვერპლის ფსიქიკურ მდგომარეობაზე. ერთ-ერთი იურისტი იხსენებს შემთხვევას, როდესაც მოსამართლემ ღიმილით გააკეთა შემდეგი კომენტარი: *„მერე, თუ ასეთი იყო, რა გინდოდა, ბიჭო, ასეთ ქალთან?!“.* ექსპერტები, ასევე, ხაზს უსვამენ სხეულის ენის მნიშვნელობას და მიიჩნევენ, რომ მოსამართლემ უნდა აკონტროლოს საკუთარი მიმიკები, ჟესტები და რეაქციები.

როდესაც საქმე ეხება მოსამართლეების დატრენინგებას მიკერძოებების აღმოსაფხვრელად, ერთ-ერთი ექსპერტი აღნიშნავს, რომ მოსამართლეებს ხშირად აქვთ ღირებულებების პრობლემა, რომელიც, სამწუხაროდ, ტრენინგებით არ იცვლება, რადგან ტრენინგებზე მოსამართლეები ავლენენ „არ მინდა და არ გავაკეთებ“ დამოკიდებულებას: *„ეს დამოკიდებულებები ჩანს სასამართლო დარბაზში და უმეტესად, ნეგატიურია“,* – დასძენს ის.

ექსპერტი ფსიქოლოგის თქმით, მთავარი პრობლემა არის ის, რომ მართლმსაჯულების სისტემამ არ იცის ტრავმაზე ინფორმირებული მიდგომების შესახებ: *„არ იციან, მსხვერპლი რა მდგომარეობაშია, არ იციან, მოძალადე რა მდგომარეობაშია“.*

დაცვის მხარის ადვოკატები

დაცვის ადვოკატების არაეთიკურობის შესახებ, კვლევის უკლებლივ ყველა მონაწილე საუბრობს. როგორც კვლევიდან იკვეთება, დაცვის მხარის ადვოკატების მხრიდან დასმული შეკითხვები და კომენტარები განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩევა და სამწუხაროდ, ვერ ხერხდება მათი ეფექტიანი აღკვეთა. საბოლოო ჯამში, მსხვერპლი დაზიანებული რჩება დაცვის ადვოკატების ინტერვენციების შედეგად.

ექსპერტი ფსიქოლოგი ამბობს: *„ყველა პრობლემური რგოლია, მაგრამ ადვოკატები არიან დაუნდობლები! ისეთი კითხვა შეიძლება დაუსვან სასამართლო პროცესზე, აი, ამ გაუბედურებულ ადამიანს, მართლა რომ ჩამოანგრიონ, და ამას ხშირად სპეციალურად აკეთებენ და ეს არის აუტანელი“.* მეორე ფსიქოლოგიც იგივეს ადასტურებს: *„ადვოკატები არიან უზნეო ხალხი, აი, ძალიან ცუდი ხალხი არიან, იმიტომ, რომ ყველაფერზე მიდიან იმის გამო, რომ პროცესი მოიგონ და ფული აიღონ“.*

ძალადობის მსხვერპლი ქალები, ასევე, ნეგატიურად ახასიათებენ დაცვის ადვოკატებს. ერთ-ერთი მსხვერპლი ამბობს: *„მოწინააღმდეგე მხარეს რაც შეეხება, მისი კითხვები საერთოდ არაადეკვატური და კონტექსტიდან ამოვარდნილი იყო“.* მეორე მსხვერპლი იხსენებს: *„ვგრძნობდი, რომ ჩემს გამოწვევას ცდილობდა... აი, რა შუაში იყო საერთოდ ჩემი მშობლების დაშორება? ანუ, ცდილობდა ეს ბრალდებულის ადვოკატი, რომ თითქოს ეს საუბარი იქეთკენ წაეყვანა, რომ ჩემი მშობლები რომ დაშორდნენ, აქედან გამომდინარე... ერთი გაუწონასწორებელი გოგო ვარ“.*

ერთ-ერთი ფსიქოლოგი ექსპერტი იხსენებს, რომ ორალური გაუპატიურების საქმეზე, მსხვერპლს ჰკითხეს, რატომ არ უკბინე სასქესო ორგანოზეო? ექსპერტის აზრით, ასეთი შეკითხვის დასმა მეტყველებს ან სრულ უცოდინრობაზე, ან არაადამიანობაზე. მისი თქმით, ორალური გაუპატიურების დროს, ძალიან მაღალია დისოციაციის რისკი და „შათ დაუნის“ რეაქცია. მეორე ფსიქოლოგი იხსენებს, რომ როდესაც მსხვერპლ გოგოს აეტირა სასამართლოზე ჩვენების მიცემის დროს, დაცვის ადვოკატი ირწმუნებოდა: *„თავი რომ შეგვაცოდოს, იმიტომ ტირის“; „რა საჭიროა ფსიქოლოგის მხარდაჭერა? მარტოც შეეძლო სასამართლოში მოსვლა“.* ფსიქოლოგის აზრით, დაცვის ადვოკატები სპეციალურად მანიპულირებენ ნეგატიური განწყობის შესაქმნელად. სხვა ფსიქოლოგი ექსპერტი ამბობს, რომ თუ დაცვის მხარეს რაიმე ტრენინგი აქვს გავლილი მსხვერპლების შესახებ, ამას არა მსხვერპლის სასარგებლოდ, არამედ მის საწინააღმდეგოდ იყენებს.

დაცვის მხარის ადვოკატების დამცინავი დამოკიდებულება განსაკუთრებით მტკივნეულია დაზარალებულებისთვის. მსხვერპლები იხსენებენ დაცვის მხარის მიერ დასმულ არაადეკვატურ შეკითხვებს, როგორიცაა *„რატომ არ შემოგახია ტანსაცმელი?“; „სქესობრივი ურთიერთობა არ გქონიათ ადამიანთან, რომელიც არაფხიზელ მდგომარეობაშია?“; „ხმა ვერ ამოიღე?!“.*

ერთ-ერთი ფსიქოლოგი იხსენებს, რომ დაცვის ადვოკატის მიერ დასმულ შეკითხვაზე თავი ვერ შეიკავა, წამოხტა და გააპროტესტა შეკითხვა, და იქვე დასძენს, რომ ფსიქოლოგებს, რომლებიც ესწრებიან მსხვერპლის გამოკითხვას, აუცილებლად უნდა ჰქონდეთ უფლება, მსხვერპლს ააცილონ მატრავმირებელი შეკითხვები.

ფსიქოლოგი ექსპერტები მიიჩნევენ, რომ დაცვის ადვოკატებისთვის უფრო მკაცრი სტანდარტები უნდა არსებობდეს, რათა თავიდან იქნას აცილებული მეორადი ვიქტიმიზაცია.

მართლმსაჯულების სისტემის გავლენა დაზარალებულის ცხოვრებაზე

ფსიქოლოგი ექსპერტები ამბობენ, რომ სამართლიანობის აღდგენას შესაძლოა, მარეაბილიტირებელი ეფექტი ჰქონდეს მსხვერპლზე. ფსიქოლოგი ექსპერტის თქმით, მსხვერპლი შეიძლება, მადლიერი იყოს საკუთარი თავის, რომ ეს წინააღმდეგობა გადალახა, ძალა ეყო და სიტყვა იპოვნა სასამართლო პროცესზე. მისი თქმით, თუ დაზარალებული მართლმსაჯულების პროცესში გრძნობს მხარდაჭერას, თუ მას ამზადებს ფსიქოლოგი, მას უჩნდება განცდა, რომ ის გადარჩენილია. მაგრამ თუ მსხვერპლმა ვერ ნახა ემპათია და თანაგრძნობა, შესაძლოა, მან საერთოდ ინანოს, რომ ჩაერთო მართლმსაჯულების პროცესში.

ექსპერტების ამ შეფასებას ადასტურებს მსხვერპლთა გამოცდილებაც. მართალია, მსხვერპლებზე გავლენას ახდენს ის, თუ რითი დასრულდა სასამართლო და დადგა თუ არა გამამტყუნებელი შედეგი, თუმცა, ეს არ არის ერთადერთი ან გადამწყვეტი ფაქტორი. გამოცდილების მიხედვით, შესაძლოა, მსხვერპლები ორ ჯგუფად დაიყოს: ერთნი, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ გაძლიერდნენ ამ პროცესით და სხვებიც დაიცვეს და საკუთარი თავიც, და მეორენი, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ მართლმსაჯულების სისტემა იმდენად დამაზიანებელი იყო, რომ შედეგის მიუხედავად, არ ღირდა ამ გზის გავლა.

დაზარალებულები, რომელთა საქმე გამამტყუნებელი განაჩენით დასრულდა, როგორც წესი, კმაყოფილები არიან იმ გადაწყვეტილებით, რომ მიმართეს მართლმსაჯულების სისტემას, თუმცა, მაინც რთულ გამოცდილებად მიიჩნევენ მართლმსაჯულებასთან ურთიერთობას. ერთ-ერთი მსხვერპლი ამბობს: *„საბოლოო ჯამში, კი შეიძლება კმაყოფილი ვიყო, მაგრამ მაინც, ბოლომდე რომ ვთქვა, ეს იყო ერთი დიდი კატასტროფული ბრძოლა“.*

ის მსხვერპლებიც კი, რომლებმაც საქმე მოიგეს და გამამტყუნებელი განაჩენი დადგა, მართლმსაჯულების პროცესს მაინც ნეგატიურად მოიხსენიებენ: *„მართლა გავბოროტდი, აი, ამ დამოკიდებულებებიდან გამომდინარე, სიძულვილი გამიჩნდა...“.* ამ ციტატაში, მსხვერპლი მართლმსაჯულების მონაწილე პირებს გულისხმობს და არა – დამნაშავეს.

ერთ-ერთი მსხვერპლი ამბობს, რომ იმდენად განუჭვრეტადი და ინდივიდზე დამოკიდებულია მოპყრობა სისტემაში, რომ ვეღარ გარისკავდა ჩივილს, რადგან არ იცის, როგორი ადამიანები შეხვდებოდა სისტემაში.

17 წლის დაზარალებული ამ პროცესების შემდეგ ამბობს, რომ პოლიციას არ ენდობა: *„მე გამოძიებას აღარ ვენდობი...“.* ეს საქმე კვლავ გამოძიების ეტაპზეა და მოძალადე დაკავებული არ არის. არასრულწლოვანი ამბობს, რომ მართლმსაჯულებასთან შეხებამ

მიახვედრა, რომ ყველაფრის გადატანა შეუძლია: *„პირდაპირი მნიშვნელობით, მე ვფიქრობ, რომ გავიზარდე ამ 6 თვეში... ესე მგონია, რომ „იმენნა“ გარდატეხა მოხდა... ბავშვი აღარ ვარ...“.*

ერთ-ერთი არასრულწლოვანი, რომლის საქმეზეც გამამართლებელი შედეგი დადგა, ფიქრობს, რომ მართლმსაჯულების სისტემამ ბევრი პრობლემა შეუქმნა: „ყველანაირად ცუდი შედეგი ჰქონდა. ფსიქოლოგიურად პრობლემები შემექმნა, მომიწია სკოლის შეცვლა.“ ის ასევე მიიჩნევს, რომ პროცესი ძალიან დიდ ხანს გაგრძელდა, კერძოდ 3 წელს.

ერთ-ერთი დაზარალებული, რომლის საქმეც გახმაურდა და გასაჯაროვდა, ამბობს, რომ მას მრავალგვარი ზიანი მიადგა. მოუწია სამსახურის დატოვება, შემდეგ ვერ პოულობდა სამსახურს, იმიტომ, რომ მისი საქმე გასაჯაროვდა. დაზარალებული მიიჩნევს, რომ ეს კავშირში იყო მის შემთხვევასთან: *„ყველა მცნობდა, ყველამ იცოდა ჩემს შესახებ და კერძო სექტორიც კი თავს იკავებდა ჩემთან თანამშრომლობისაგან“.* ის ასევე აღნიშნავს, რომ ძალიან გაუჭირდა ფსიქოლოგიურად, დასჭირდა მკურნალობა 8 თვის განმავლობაში, ჰქონდა ძალიან მძიმე ემოციური ფონი, დასჭირდა ანტიდეპრესანტების სმა. მართლმსაჯულებასთან ურთიერთობას მოიხსენიებს, როგორც „ცხოვრებისეულ ტრავმას“: *„შეუძლებელია, რომ წაიშალოს, დროთა განმავლობაში უფერულდება, მაგრამ შეუძლებელია, წაიშალოს, ეს გამორიცხულია“.* მიუხედავად ასეთი მძიმე შედეგებისა, დაზარალებული ამბობს, რომ იგივეს გააკეთებდა და ამის მიზეზად ასახელებს საჯარო მხარდაჭერას და სხვა ქალებს, რომლებმაც მას უთხრეს: *„შენ შეცვალე ჩვენი ცხვორება და შენს მერე ჩვენ დავიწყეთ ბრძოლა და სხვანაირად კარგად ვართ... ჩემმა საქმემ ძალიან ბევრ ქალს მისცა გამბედაობა და ძალიან ბევრი რაღაცა სხვანაირად შეცვალა მათ ცხვორებაში და მიხარია ძალიან, რომ მე გავხდი რაღაცა პატარა რგოლი ამ ყველაფერში, პატარა წვლილი მეც მიმიძღვის“.* საბოლოო ჯამში, დაზარალებული ამბობს: *„მე გავნადგურდი ამ ბრძოლაში, თუმცა, ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი და ალბათ იგივეს გავაკეთებდი“.*

მიუხედავად ნეგატიური გამოცდილებისა, ზოგიერთი ქალი მადლიერია საკუთარი თავისა, რადგან შეძლო ამ პროცესის გავლა და დაძლევა. ერთ-ერთი რესპონდენტი ასკვნის: *„იმაზე მეტად გამარჯვებული და იმაზე მეტად მყარი ვყოფილვარ, ვიდრე მეგონა“.*

05

დასკვნა

სექსუალური ძალადობისა და გაუპატიურების მსხვერპლთა გამოცდილებების კვლევების ლიტერატურის მიმოხილვამაც და ჩვენ მიერ ჩატარებულმა კვლევამაც აჩვენა, რომ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემები არ არის მსხვერპლზე ორიენტირებული, სექსუალური ძალადობისა და გაუპატიურების შემთხვევების შესახებ შეტყობინების გაკეთების, გამოძიების, ბრალის წარდგენისა და გასამართლების დროს. ტრავმაზე ინფორმირებული მიდგომების შესახებ ცოდნა არის ძალიან ფრაგმენტული და არ არსებობს ერთიანი, კარგად გაწერილი სტანდარტები, რომელსაც მიყვებიან სპეციალისტები.

სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის ყველა ეტაპზე, განსაკუთრებით კი განაცხადის გაკეთებისა და პირველადი გამოკითხვის დროს გამოვლენილი ბარიერების საერთო თემები შეიძლება, დავაჯგუფოთ შემდეგი ძირითადი კატეგორიების ფარგლებში:

1. **მართლმსაჯულების მიმართ ნდობის ნაკლებობა** – მსხვერპლებს აქვთ შიში, რომ არ დაუჯერებენ, და რომ სისტემა ვერ და არ დაეხმარება მათ საკუთარი სიმართლის დამტკიცებაში, მათ შორის, საკანონმდებლო ხარვეზების გამო. და ზოგადად, არსებობს საფუძვლიანი შიში, რომ მართლმსაჯულების სტრუქტურების მხრიდან არასათანადო მოპყრობას ექნება ადგილი;
2. **შინაგანი ემოციური რეაქციები** – როგორიცაა თავის დადანაშაულება, სირცხვილი, შიში; სწორედ ამიტომ, უმნიშვნელოვანესია ემპათიის არსებობა მართლმსაჯულების სისტემაში;
3. **სტერეოტიპები და გაუპატიურებასთან დაკავშირებული კულტურული მითები** – საზოგადოების მხრიდან სტიგმა, მომხდარის მინიმიზაცია ან უარყოფა, ძალადობის დროს დაზარალებულის ინტოქსიკაცია და წინასწარი მიკერძოებული წარმოდგენები, რომ ქალები სექსუალური ძალადობის შესახებ ცრუ ბრალდებებს წამოაყენებენ ყურადღების მიქცევის ან შურისძიების მიზნით;
4. **მოძალადის მახასიათებლები** – მაგალითად, მოძალადის სოციალური სტატუსი და გავლენები, სიტუაციაში მისი სანდოობის მაღალი აღქმა დაზარალებულთან შედარებით და ის ფაქტი, რომ მოძალადე შეიძლება, იყოს ამჟამინდელი ან ყოფილი პარტნიორი.

ეს საერთო თემები და ბარიერები ასახავს რთული გადაწყვეტილების მიღების პროცესს, რომელშიც სექსუალური ძალადობის მსხვერპლები ითვალისწინებენ სხვადასხვა საზოგადოებრივ, კონტექსტურ, პირად და შიდა ფაქტორებს იმის განსასაზღვრად, განაცხადონ თუ არა სექსუალური ძალადობის შესახებ სამართალდამცავებთან.

კვლევამ, ასევე, გამოავლინა ორი მნიშვნელოვანი რგოლი, რომელიც პრობლემურად, მაგრამ მნიშვნელოვნად მიიჩნიეს კვლევის მონაწილე ექსპერტებმა და დაზარალებულებმა: ექსპერტიზა და დაცვის ადვოკატები. აღნიშნული საკითხები საჭიროებს რეგულირებას და მსხვერპლზე ორიენტირებული სტანდარტების დანერგვას.

გამოკითხული მსხვერპლები აღნიშნავენ, რომ მართლმსაჯულების სისტემაში მათი მონაწილეობა იყო უმნიშვნელოვანესი ცხოვრებისეული გამოცდილება, რომელიც ამავდროულად, იყო ურთულესიც; ამ სიძნელეების გამო, ზოგმა უფრო გაძლიერებულად იგრძნო თავი, მაგრამ ზოგი თვლის, რომ ზიანი აჭარბებს სიკეთეებს და მომავალში აღარ აპირებს, მიმართოს სისტემას. ეს დასკვნა საკმაოდ მძიმეა და მართლმსაჯულების სისტემის დაუყოვნებლივი გარდაქმნის აუცილებლობაზე მიუთითებს.

06

რეკომენდაციები

კვლევაში წარმოდგენილი მიგნებები ხაზს უსვამს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში რეფორმების საჭიროებას. ამ რეფორმის ცენტრალურ ღერძად უნდა იქცეს დაზარალებულთა საჭიროებების პრიორიტეტიზაცია, სისტემისა და მისი პროცესების გაუმჯობესება და სექსუალური ძალადობის გამოძიებების საერთო ეფექტიანობის გაზრდა. ამისათვის აუცილებელია:

- **საკანონმდებლო ცვლილებების** გატარება და საერთაშორისო ვალდებულებების შესაბამისად, გაუპატიურების თანხმობაზე ორიენტირებული დეფინიციის შემოღება;
- როგორც ფართო საზოგადოების, ისე პროფესიული წრეებისთვის **საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების კამპანიების** ჩატარება. ამ კამპანიების მიზანი უნდა იყოს თანხმობის არსის გააზრება ფართო საზოგადოების მიერ. აუცილებელია გაუპატიურების შესახებ მითების გაქარწყლება, რათა მსხვერპლებმა უფრო ადვილად ამოიცნონ სქესობრივი ძალადობა და თამამად მიმართონ მართლმსაჯულების სისტემას, თავიანთი დარღვეული უფლებების აღსადგენად;
- გადამზადდეს მართლმსაჯულების პროცესში ჩართული ყველა უწყების შესაბამისი თანამშრომლები, **ტრავმაზე ინფორმირებული მიდგომების გამოყენებასთან დაკავშირებით**;
- მართლმსაჯულების სისტემაში, სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა გამოცდილების გაუმჯობესების მიზნით, რეკომენდებულია, რომ მართლმსაჯულების ორგანოებმა მოუსმინონ **დაზარალებულთა ინდივიდუალურ საჭიროებებს და მსხვერპლზე ორიენტირებული მიდგომებით** შეასრულონ საკუთარი ვალდებულებები;
- შემუშავდეს შესაბამისი **სტანდარტები და გაიდლაინები ექსპერტიზის ბიუროში**, ვინაიდან მისი მუშაობა არ შეესაბამება საუკეთესო პრაქტიკებს და თანამედროვე ცოდნებს;
- გატარდეს ეფექტიანი ღონისძიებები, სასამართლო პროცესების **გადადებებისა და გაჭიანურების შესამცირებლად.** განისაზღვროს კონკრეტული ვადები, რომელიც შეამცირებს როგორც სასამართლოში დაგროვებული საქმეების

რაოდენობას, ისე – იმ დროის ხანგრძლივობას, რაც საქმეს სჭირდება სასამართლომდე მისასვლელად, ბრალდების წაყენების შემდეგ.

- უზრუნველყოფილ იქნას **დაზარალებულების ხელმისაწვდომობა საქმის მიმდინარეობის შესახებ სრულფასოვან ინფორმაციაზე;**
- სექსუალური ძალადობის მსხვერპლებს, რომელთა საქმეებიც მიმდინარეობს მართლმსაჯულების სისტემაში, **ხელი მიუწვდებოდეთ მხარდამჭერ სერვისებზე:** ეს შეიძლება იყოს კოორდინატორი, სოციალური მუშაკი, ფსიქოლოგი ან სხვა.

07

გამოყენებული ლიტერატურა

1. Bureau of Crime Statistics and Research. (2023). **სექსუალური დანაშაულის საქმეებში მოსარჩელეების სასამართლო სისტემის გამოცდილების შესწავლა** (AP69). NSW Government. ხელმისაწვდომია: https://bocsar.nsw.gov.au/documents/publications/affiliated/ap69-BOSCAR_Interview_study_Exploring_justice_system_experiences_of_complainants_in_sexual_offence_matters.pdf
2. Centre for Women's Justice, End Violence Against Women Coalition, Imkaan და Rape Crisis England & Wales. (2020). **რატომ უგულებელყოფს სასამართლო სისტემა გაუპატიურების მსხვერპლებს და რა უნდა შეიცვალოს**. ხელმისაწვდომია: https://www.endviolenceagainstwomen.org.uk/wp-content/uploads/C-Decriminalisation-of-Rape-Report-CWJ-EVAW-IMKAAN-RCEW-NOV-2020.pdf
3. Campbell, R., Feeney, H., Fehler-Cabral, G., Sharma, D. B., & Horsford, S. (2024). **გაჩუმებული გადარჩენილები: ზრდასრული ქალების გაუპატიურებისა და სექსუალური ძალადობის შემთხვევების შესახებ ინფორმაციის მიწოდების, გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნისა და სასჯელის დაკისრების ბარიერების სისტემატური მიმოხილვა**. Trauma, Violence, & Abuse. https://doi.org/10.1177/15248380241261404
4. Smith, O., & Hohl, K. (2025). **სისტემური პროცედურული უსამართლობა, რომელსაც მსხვერპლი-გადარჩენილები აწყდებიან პოლიციის რეაგირებისას გაუპატიურებისა და „სერიოზული" სექსუალური დანაშაულების დროს: ინგლისსა და უელსში ოთხი ძალის ყოვლისმომცველი კვლევა**. Journal of Criminal Justice, 97, 102331. https://doi.org/10.1016/j.jcrimjus.2025.102331
5. McGlynn, C., & Westmarland, N. (2019). **კალეიდოსკოპური სამართლიანობა: სექსუალური ძალადობა და მსხვერპლ-გადარჩენილების სამართლიანობის აღქმა**. Social & Legal Studies, 28(2), 179–201. https://doi.org/10.1177/0964663918761200
6. Victim Support. (2024). **სამართლიანობისთვის ტანჯვა: სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა გამოცდილება სასამართლოში მისვლასა და ჯვარედინ დაკითხვასთან დაკავშირებით**. Victim Support. ხელმისაწვდომია: https://www.victimsupport.org.uk/wp-content/uploads/2024/10/Sufferingforjusticereport.pdf

7. Jordan, J. (2015). **სისხლის სამართლის მართლმსაჯულების გამოწვევა? ფსიქოსოციალური შეზღუდვა და გაუპატიურების მსხვერპლად ყოფნა**. Criminology & Criminal Justice, 15(2), 228–244. https://doi.org/10.1177/1748895814543535

8. ევროპის საბჭო. (თარიღი მითითებული არ არის). **სექსუალური ძალადობის გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნისა და სასამართლო განხილვის სახელმძღვანელო**. ევროპის საბჭო. ხელმისაწვდომია: https://rm.coe.int/investigation-manual-geo/1680a3e8e5

08

დანართი

ნახევრადსტრუქტურირებული კითხვარი, რომელსაც ვიყენებდით სექსუალური ძალადობის მსხვერპლებთან ინტერვიუს ჩატარებისას, ეყრდნობა ელენა კამპბელის მიერ შემუშავებულ კითხვარს, რომელიც მომზადდა 2023 წლის კვლევის ფარგლებში, სახელწოდებით "ინტერვიუებით კვლევა: სექსუალური დანაშაულის საქმეებში მოსარჩელეების სასამართლო სისტემის გამოცდილების შესწავლა".

კითხვარი ადაპტირდა და მოერგო ქართული მართლმსაჯულების სისტემას და თავისებურებებს. პრაქტიკოს ექსპერტებთან ჩატარებული ინტერვიუებიც მიუყვებოდა ანალოგიურ სტრუქტურას, ოღონდ კითხვები ისმეოდა არა პირადი, არამედ პროფესიული გამოცდილების შესახებ.

კითხვარის ნიმუში

ნახევრადსტრუქტურირებული კითხვარი

სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა გამოცდილება მართლმსაჯულების სისტემაში

კვლევის ინტერესის სფეროს წარმოადგენს მსხვერპლთა სუბიექტური გამოცდილებები მართლმსაჯულების სისტემაში, ასევე, რამდენად მორგებული იყო პროცესში ჩართული სხვადასხვა უწყების რეაგირება მსხვერპლთა საჭიროებებზე. კვლევის მიზანია მართლმსაჯულების სისტემაში სექსუალური ძალადობის მსხვერპლის გამოცდილების დეტალური გააზრება და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება.

მსხვერპლის ნეგატიური გამოცდილება შეიძლება, მოიცავდეს **მსხვერპლის დადანაშაულებას, ფაქტების არდაჯერებას** და მათი **ტრავმის უარყოფას/ ვერდანახვას**, რაც იწვევს შემდგომ სტრესსა და სამართლიანობის აღდგენის სურვილის გაქრობას. მსხვერპლთა ნაწილის აღქმაში, ინფორმაციის გაზიარების პროცესი და სასამართლო სისტემაში ნავიგაცია ხშირად აღიქმება ისეთივედ ან უფრო დამაზიანებლად, ვიდრე თავდაპირველი ძალადობა.

ინტერვიუს შესავალი:

- გადაუხადეთ **მადლობა** რესპონდენტს კვლევაში მონაწილეობისთვის;
- გააცანით რესპონდენტს **კვლევის მიზანი** და მნიშვნელობა;

- აცნობეთ, რომ კვლევას ახორციელებს „საფარი“ და რომ **ანონიმურობა** გარანტირებულია;
- აიღეთ **ნებართვა ჩანაწერზე,** რომ შექმნათ აუდიო, ზუმის შემთხვევაში კი ვიდეოჩანაწერი; აცნობეთ, რომ თავად გააკეთებთ ტრანსკრიპტს, რომ იგი უკვე დაშტრიხული გადაეცემა „საფარის“ მკვლევარს, აუდიო/ვიდეო ჩანაწერი კი კვლევის დასრულებისთანავე წაიშლება;
- გააცანით რესპონდენტს **საკვლევი საკითხები** და თემატიკა, რასაც შეეხებით;
- აცნობეთ, რომ ინტერვიუ გრძელდება **ერთ საათს** ან ოდნავ მეტს და თქვენი ამოცანაა, მოასწროთ ყველა კითხვის დასმა;
- შეახსენეთ, რომ უშუალოდ დანაშაულზე და დეტალებზე კი არ საუბრობთ, არამედ – დანაშაულის შემდგომ **გამოცდილებაზე** მართლმსაჯულების სისტემაში;
- შეაგროვეთ **დემოგრაფიული მონაცემები:** სქესი, ასაკი, (დანაშაულის დროს რა ასაკის იყო), საცხოვრებელი ადგილი ამჟამად/დანაშაულის დროს (ქალაქი, რაიონი, სოფელი), ეთნიკური ჯგუფი, შეზღუდული შესაძლებლობა, რომელიმე სხვა უმცირესობას ხომ არ მიეკუთვნება, ოჯახური მდგომარეობა ახლა და დანაშაულის დროს.

კითხვარი:

პირველი თავი: შეტყობინება

1. რა გზით აცნობეთ პოლიციას დანაშაულის შესახებ?
2. დანაშაულიდან რა ვადაში აცნობეთ პოლიციას?
3. რა ფაქტორებმა გადაგაწყვეტინათ, რომ მიგემართათ პოლიციისთვის? ხომ არ დაგხმარებიათ მეგობარი ან ოჯახის წევრი ამ გადაწყვეტილების მიღებაში?
4. 112–ზე დარეკვა თუ მოგიწიათ, რა შთაბეჭდილება დატოვეს?
5. მანამდე თუ გქონიათ პოლიციასთან ურთიერთობის გამოცდილება/გამოკითხვაზე თუ ყოფილხართ მანამდე? თუ კი, რა შთაბეჭდილება დაგრჩათ?
6. თავიდანვე აგიხსნეს მოსალოდნელი პროცედურები და შემდეგი ნაბიჯები (112-მა ან ადგილზე მოსულმა პოლიციამ)?
7. რამე დამატებით სერვისებზე ინფორმაცია მოგაწოდეს? თუ კი, გაგვიზიარეთ.
8. შეტყობინების ეტაპზე რის გამოსწორებას ისურვებდით?

მეორე თავი: გამოკითხვა და გამოძიება

1. როგორ დაახასიათებდით პოლიციაში გამოკითხვის პროცესს?
2. რამდენად მგრძნობიარე იყო პოლიცია შეკითხვების დასმისას?

3. იყო თუ არა პოლიციაში ვინმე, რომელიც გაგიწევდათ მხარდაჭერას? (მაგალითად კოორდინატორი, ადვოკატი, მეგობარი ან ახლობელი?)
4. გამოკითხის დროს შეგექმნათ თუ არა რაიმე ტიპის დისკომფორტი? დეტალურად მოგვიყევით.
5. აგიხსნეს თუ არა დაწვრილებით, რა პროცედურები გელოდათ გამოძიების ფარგლებში? რამდენად გასაგები იყო ეს ახსნა?
6. ხომ არ გაჯანჯლდა გამოძიების დაწყება? თუ კი, რატომ?
7. რომელიმე საგამოძიებო მოქმედება ხომ არ იყო თქვენთვის გაუგებარი, არასაჭირო, ან დისკომფორტის შემცველი? მოგვიყევით.
8. გქონდათ შეგრძნება, რომ აზრს გეკითხებოდნენ და გადაწყვეტილებებს თქვენ იღებდით გამოძიების პროცესში?

მესამე თავი: პროკურორი

1. რამდენ ხანში მოგანიჭეს დაზარალებულის სტატუსი? ეს ვადა გონივრულად მიგაჩნიათ?
2. დაგრჩათ თუ არა შთაბეჭდილება, რომ პროკურორმა ყველა საჭირო ინფორმაცია გაგაცნოთ?
3. დაგრჩათ თუ არა შთაბეჭდილება, რომ პროკურორი ითვალისწინებდა თქვენს სურვილებს და გადაწყვეტილებებს?
4. ზოგადად, თქვენი მოლოდინები პროკურატურის მიმართ გამართლდა?
5. რამე სერვისები თუ შემოგთავაზათ პროკურორმა? რომელი?
6. რამე დამაზიანებელი ხომ არ უთქვამს ან გაუკეთებია პროკურორს?
7. გამოგეყოთ თუ არა კოორდინატორი? გაამართლა თუ არა თქვენი მოლოდინები კოორდინატორმა?

მეოთხე თავი: სასამართლო

1. ესწრებოდით თუ არა სასამართლო პროცესებს? რა სიხშირით?
2. რა შთაბეჭდილება დაგრჩათ სასამართლოში პროცესის მიმდინარეობაზე?
3. რას გვეტყვით მოსამართლეზე?
4. როგორ დასრულდა ეს პროცესი, რა გადაწყვეტილება დადგა? კმაყოფილი ხართ?

მეხუთე თავი: მართლმსაჯულების სისტემის გავლენა რესპონდენტის ცხოვრებაზე

1. მთელი ამ პროცესის განმავლობაში რა სერვისები დაგაკლდათ? რა ტიპის დახმარება არ მიგიღიათ, რის მიღებასაც ისურვებდით?
2. რა შედეგები ჰქონდა საბოლოოდ მთელ ამ პროცესს თქვენზე? (ფსიქოლოგიური, მატერიალური, ცხოვრებისეული)
3. მომავალში რომ დაგჭირდეთ მსგავსი პროცესის გავლა მართლმსაჯულების სისტემაში, გაივლიდით/იჩივლებდით? თუ არა, რატომ?